36-40

მ ი ნ ა ა რ ს ი

ჟურნალ „ჯეჯილისა“

I სურათი 554
II შემოდგომა—გ. ქუჩიშვილისა 555
III სამართლიანი მამალი 556
IV უკანასკნელი ტყუილი (გადმოკეთებული ფრანგულიდან ტასოსი 557
V ვაგლახი მონადირე (ზღაპარი) 560
VI მელა გუპილის საზარელი თავგადასავალი მოთხრობა ლუი პერგოსი (დასასრული) ფრანგულიდან ელ. დემოდონ-წერეთლისა 567
VII სისუფთავე ცხოველებთა შორის (გადმოკეთებული) ს. ფ. 574

VIII შემოდგომის სურათი—ლექსი შ. მდივანელისა . . . 581
IX ბიძიას ნაამბობი (გაგრძელება) ალ. ნათაძესი . . . 582
X მარილი (დასასრული) ნ. წუწუნავასი 588
XI ჯეკი. ცეცხლის მჭრობელი რაზმის ძაღლი (დასასრული) თარგმანი ეკ. მესხისა 595
XII ორი ბავშვი (სოფლის ექიმის ცხოვრებიდან) დასასრული თარგმანი იოსე. ნაკაშიძისა 602
XIII ყოველგვარი ხარისხის და წოდების ხალხი—ვაჭრები—ბერლინისა (შემდეგი) თარგმანი ან. წერეთლისა . 607
XIV ნიკოლოოზ ზებედეს ძე ცხვედაძე. ნეკროლოგი ეკ. გაბაშვილისა 612
XV თავის მოვლა (შემდეგი) ივ. გომართელისა 614

დაიბეჭდა და ეგზავნებათ ყველა ჯეჯილის ხელის მომწერლებს
(ვისაც ჟურნალის წლიური ფასი სრულათ აქვთ შეწოლანილი)

«ღვთის წყალობა»

დასურათებული მოთხრობა გიორგი წერეთლისა.

—

რედაქციაში იყიდება ჯეჯილის სრული 18 წლის გამოცემა (დარჩენილია მხოლოთ 15 სერია), რომელიც შეადგენს 160 წიგნზე მეტს, გაგზავნით სხვა და სხვა ქალაქებში ეღირება 32 მან. სასწავლებლებს, რომელნიც თითონ წაიღებინებენ, რედაქციიდან დაეთმობათ 28 მანეთათ.

„ჯეჯილის“ რედ—ში იყიდება მეტდეგი ახალი გამოცემა:

„ცხოველების გამჭრიახობა“ . . . . . 25 კ.
„ბატონ-ყმობის გაუქმება“ . . . . . 12 კ.



საუმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი.

იზარდე მწვანე ჯეჯილო,
დაპურდი, გახდი ყანაო!..
ი. დ.

ოქტომბერი, 1911

✦ წელიწადი მეოცდათორე ✦

F4502
944/04

თ ბ ი ლ ი ს ი
ელექტრომბეჭდავი „შრომა“, მუხრანის ქ. № 12.
1 9 1 1

დიდი დედას რძე უნდა წავულოთ!



შემოდგომა.

ემოდგომაა... მიდამოს
ოხ, რა რიგ მოუწყენია
ცასა მაღალსა მტირალსა
ცრემლები დაუდენია!

ემშვიდობება სოფელი
სხივებს გაცრეცილ მზისასა;
და სალამს სასიეგარულოს
აბარებს ნიავს მთისასა.

ბატარა გოგო, ბიჭები
შემოჭხვევიან კერასა;
იბუზებიან, სიცივით
ველარა ჭბედვენ ვერასა.

დიდედაც ტახტზე მოწყენით
ზის, ატრიალებს თითის ტარს;
ქარი-კი გაბრაზებული
უსტვენს თოვლს, უსტვენს-ცივ ზამთარს!..

გ. ქუჩიშვილი.



სამართლიანი მამალი.

ერთხელ მამალი დედალს გამოუდგა. დედალს ნისკარტში ჭია ეჭირა. გეგონებოდათ რომ მამალს შეშურდა გემრიელი ლუკმა და მოინდომა წართმევა. მაგრამ მამალი მოეწია თუ არა დედალს, ერთი მაგრათ ჩაჭკრა ნისკარტი თავში, წაართვა ჭია და მეორე კოჭლ დედალს წაუღო, რომელიც განზე იდგა და მორიდებით უყურებდა.



უკანასკნელი ტუილი.

ბბი იყო მეტათ კარგი გოგონა, ცქვიტი, მალსაზი და ამბების მშვენიერი მთხრობელი. მისი მასწავლებელი აღტაცებაში მოდიოდა და ამბობდა რომ ყმაწვილი ცოცხალი გონებისაა.

მაგრამ ბბის ერთი საძაგელი წუნი ჰქონდა: ტუილის თქმა იცოდა. არავის ზოგავდა, ბრალიანს და უბრალოს მოუგონებდა ამბებს, აზვიადებდა ყველაფერს. ბაწაწინა შემთხვევას გასდიდა ერთ დიდ ამბათ.

ვერც მასწავლებლებმა და ვერც დედ-მამამ ვერ გადაჩვიეს ამ საძაგელ ჩვეულებას.

ბბი იყო მატყუარა ბავშვი და ხოლო ერთმა საშინელმა ამბავმა გადაჩვია ის ამ მატყუარობას.

ერთხელ, საღამო ჟამს გავარდა ხმა, რომ მოხუცებული მართა, რომელიც სოფლის ბოლოს განმარტოებით ცხოვრობდა და ყველას მდიდარი ეგონათ — ნასადილევს მოჰკლესო. აბ ამბავმა ყველას თავზარი დასცა. დაიწყეს მითქმა-მოთქმა.

— ეს ამბავი უსათუოდ იმ საძაგელ კარნოს საქმე იქნება, სულ რომ თოფით დახეტიალებს. თქვა ერთმა.

— მეც ასე მგონია, რომ იმის საქმე უნდა იყოს, ყოველთვის იმ მხარეს ვჩედავდი. თქვა მეორემ.

— თუ მართლა მისი საქმეა, დაუმატა მესამემ, —უსათუოდ სისხლი ტანისამოსზე დარჩებოდა და საქმე ადვილათ გამოიძიება.

ბაბისაც ეს უნდოდა: აქლემს რწყილი აშობინა.

— მერე რას ნახავენ, ტანისამოსი ვერ გაირეცხებოდა მდინარეში? მე რომ სკოლიდან ვბრუნდებოდი—წყალი სულ წითელი ვხახე.

რასაკვირველია ეს ტყუილი იყო.

ბაბის არა ენახარა.

ამბავი მოედო ყველგან. გამომძიებელის ყურამდინაც მივიდა. კარნოს სახლი გაუხსრიკეს და საუბედუროთ თავ-ქვეშ უნახეს სველი საცვალი. ეჭვი აღარ იყო. კარნოს მაინც ცუდის თვალით უყურებდენ. როგორც ზარმაცს, ხეტიალას და მოჩხუბარს და ის მაშინათვე ციხეში წაიყვანეს.

ბაბი სინანულში ჩავარდა. დღე და ღამ სულ თვალ-წინ უდგა, კარნო როგორ ბიჭვავდათ შებოჭილი ორ დარაჯს. შეიძლებოდა საქმე კიდევ გამოკეთებულიყო, რომ ბაბის მოენანიებინა და მართალი ეთქვა, მაგრამ სირცხვილით არ გამოტყდა.

ერთ დილით ბისმა მამამ ქალალდი მიიღო, რომ მის შვილს იბარებენ საჯავროში ჩვენების ჩამოსართმევათ. ბაბის საშინლათ შეეშინდა. უნდა გამოტეხილიყო, მაგრამ ახლაც სირცხვილით ვერა თქვა-რა.

მსაჯულის წინ მან გაიმეორა ის სიტყვები, რომლებიც წამოსცდა მართას სიკვდილის დღეს, მაგრამ

ხმა ისე აუკანკალდა, რომ მსაჯულმა შეატყო, ჩააცქერდა უმაწვილს თვალებში და უთხრა:

— დაფიქრდი, ჰატარავ, შენ ნათქვამზე, განა რაც გვიამბე ჭეშმარიტია? გაზვიადებული და მოგონილი ხომ არ არი? ტუილათ ცოდვას ნუ აიღებ, მეტადრე სამჯავროს წინ, ხოლო მართალი, სრული მართალი უნდა თქვა.

ამ სიტყვებმა ბაბი გამოარკვია, უმაწვილმა იგრძნო თავის სიავე და ამ სიავით რა უბედურებასაც აუენებდა იქნება სულ უბრალო კაცს, წამოწითლდა და დაიწყო გულ-ამოსკვნით ქვითინი.

— მაპატიე» ტუილი! და შერცხვენილი მამის კალთას ამოეფარა.

ეს იყო ბაბის უკანასკნელი ტუილი.

ტასო.

(გადმოკეთებული ფრანგულიდან)



ვაგლახი მონადირე.

(ზღაპარი)

იყო და არა იყო-რა იყო ერთი მონადირე დიმიტრი, რომელსაც ეძახდენ ვაგლახ მონადირეს. ეს სახელი იმიტომ დაარქვეს, რომ ვაგლახი კაცი იყო, უმოწყალოთ ისროდა თოფს ყოველ ნაბიჯზე, მარჯვნივ და მარცხნივ. ოღონდ კი თოფი გაესროლა და როდი დასდევდა მოჭკლავდა თუ დაჭკოდდა ნადირს; ისე რომ თითქმის არც ერთი ჰირუტეკი, არც ერთი ფრინველი არ დაეუნა დაუშავებლათ.

კურდღლები რომ ერთი ბუჩქიდან მეორეზე გადადიოდენ სისხლის კვალს ამჩნევდენ. ცალ-თვალა ფრინველები დაფრინავდენ, ფეხ-მოტეხილები-კი მიწაზე დაფარფატობდენ.

დიმიტრის იმათი საცოდაობა არაფრად მიაჩნდა, ტეკია ნადირს თუ ნამვს, ან ფიჭვს მოხვდებოდა არას დასდევდა, იქნება ტეკია ბუჩქებშიაც მიმალულიყო.

ცხოველები დიდ ხანს ითმენდენ ამ გვარ შეურაცყოფას, ხოლო ერთხელ მაჩვი გამოესარჩლა მთელ ნადირთა სამეფოს და გადასწყვიტა ეჩივლა მონადირეზე ტეის მეფესთან—დათვთან.

თვითონ მაჩვისთვინ მონადირეს არაფერი დაეშავებინა რა და რომ დაეშავებინა კიდეც ჰასუხის გაცემასაც მოახერხებდა.

ხოლო საქმე იმაში იყო, რომ მაჩვს ყველაზე მეტათ უყვარდა მშვიდი და წყნარი ცხოვრება და ეს რამდენიმე წელიწადია ესმოდა შეუწყვეტლივ თოფის გრიალი და კვნესა-ჭყივილი დაკოდილი ცხოველებისა.

მაჩვი სანამ მივიდოდა ტეის მეფესთან, ბევრი გაჭივრება გამოიარა, გზა უბოლოოთ ეჩვენა, დიდ მგზავრობას არ იყო დაჩვეული. ფესები მას მოკლე აქვს და დღითი თვალთ კარგათ არ უჭრის.

ასე თუ ისე მაინც მიაღწია დათვის სასახლემდის. შიგ შუა ტეეში იდგა ეს სასახლე და ძნელი საპოვნელი იყო. მაჩვი ჭკვიანი იყო, თორემ სხვა ვერცა-კი მიხვდებოდა, რომ ეს სასახლეა, ეგონებოდათ ქვა და ფიჩხის გროვაა.

მაჩვმა მოძებნა კარი და დაურაკუნა.

ტეეში ხმა იყო, რომ მაჩვი ახლო ნათესავათ მოხვდებოდა დათვს და ამასაც ისე უსაროდა, რომ უარზე არ იდგა.

მგონი თვით ტეის მეფეც ნათესავობაზე უარს არ ამბობდა, რადგან დაინახა თუ არა მაჩვი გამოეგება და თათი გაუწვდინა.

— გამარჯობა სახელოვანო ტეის ძეფევ, უთხრა მაჩვმა და ძძიმეთ თავი დაუკრა.

ტეეთა მეფემ დიდი ალერსით მიიღო და ძმობილათ მოიხსენია.

შეიტყო თუ არა მაჩვის საჩივარი, დაჭვირდა სწრაფლ გამოძიებას მოვახდენო.

— მაგრამ, დასძინა მან, ხომ იცი, რომ კანონს ვერ გადაუვალ, მოიხმე ტეის ყველა ცხოველები და

ქაღალდით დასაბუთებული საჩივარი შემოიტანეთ მონადირეზე. დაიეოლიე ბუ, მან კარგათ იცის საჩივრების წერა, არ დაგავიწუდეს ფელიაც მიიხმე, მარჯვეთ იცის შველა. მე ხომ იცი, როგორც მეფე არ შემიძლიან კანონს გადუდგე.

თქვა თუ არა ეს სიტყვები დათვმა, გვირგვინ ქვეშ მოიფსანა კისერი, მაჩვი მიხვდა, რომ მეფის მეტი შეწუხება აღარ შეიძლებოდა.

გაძოესალმა დათვს და დაბრუნდა იმავე გზით, რა გზითაც მოვიდა.

ამის შემდეგ ტყეში ყველანი გამოცოცხლდენ, გამხიარულდენ. ატუდა ჭეიკილი, ყვირილი, სტვენა, ხმაურობა. ნადირნი ბუჩქებში დამვრებოდენ, ქვებზე დახტოდენ. ხეების ტოტებიდან მოისმოდა ფრთების შრიალი.

ძლივ-ძლ ივობით ერთი უშველებელი საჩივარი დასწერეს, ყველამ ხელი მოაწერა და ბოლოს მიართვეს ტეის მეფეს დათვს. იმანაც მაშინვე მოიწვია კრება.

დიდი პატივსაცემი კრება იეო. ამათში ერია ბებერი რუხი მგელი, გრძელ რქებიანი ირემი, ეშმაკი ფელა, მშვენივრათ შემოსილი კვერნა, დიდრონი სათვალებით ბუ, რომელიც მწერლათა ჭეავდათ და კიდევ ბევრ ნადირს მოეყარა თავი, მინდვრის თაგვიც კი აქ იეო.

საჩივარი გრძელი იეო. დათვი წამ-და-უწუმ ცრემლებს იწმენდდა, როდესაც თავის ქვეშერდომების საჩივარს ისმენდა. ფიქრათაც არ მოუვიდოდა, რომ ამოდენა ვაი-ვაგლახი აეტანათ ამ საცოდავებს.

რჩევამ დიდ ხანს გასტანა და ბოლოს ამ დასკვნას დაადგენ:

დიდი და პატარა, ღონიერი და უღონო ტეის მცხოვრებნი მონადირეებათ უნდა გამზდარიყვენ და ასდევნებოდენ დიმიტრის, როგორც ნადირს.

ჟრუნი მაშინვე ტეეში გაგზავნეს, თავიანთ გადაწყვეტილების გამოსაცხადებლათ. ის ირემზე შესკუპდა და ისე მოიარა მთელი ტეე. ყველას უცხადებდა მეფის ბრძანებას, რომ ფრინველებმა და პირუტყვებმა დანიშნულ დროზე და დანიშნულ ადგილას თავი მოიყარონ.

— გაიგეთ? გაიგეთ? ეკითხებოდენ ჩუმათ ერთმანერთს პატარა პირუტყვები.

— გაიგეთ? გაიგეთ? მოისმოდა ფრინველების ყივილ-ხივილი.

— მე იმას ფეხის მოტეხას არ შევარჩენ!

— არც მე დავაყრი ხეირს თვალის გამოთხრისათვის!

— მე რა დაუშავე, ფრთა რომ მომტეხა!

— სამაგიეროს გადვუხდი კუდის მოწყვეტისათვის!

* *
*

დადგა განსაცდელის დღეც. ვაგლახი მონადირე ჩვეულებისამებრ მივიდა ტეეში და უდარდელათ მოჰყვა ნადირობას. ისროდა თოფს საითაც ჭსურდა და რამდენიც უნდოდა.

ის უცბათ წააწყდა პატარა ძეტათ ლამაზ მოწითანო მელიას. მას თითქოს არცკი შეეშინდა მონადირისა.

„ურიგო არ იქნება სახლში რომ წავიღო ამისთანა ნანადირევი“. იფიქრა დიმიტრიმ და გამოუდგა მელას.

მონადირე ისე მუყაითად მისდევდა მელიას, რომ ვერ შეატყო, როგორ შეჭვევა მას შიგ შუა ტყეში და უცბათ კი მიადგა დათვის სასახლის — კარებს. „ბრახ“ და მძიმე კარები ჩაიკეტა. ჩვენი დიმიტრი ციხეში დაიმწყვდა.

რომ იცოდეთ ამ ვაგლახს რანაირად შეეშინდა!

მგელმა კისერში ჩასჭიდა თათი და მიათრია მაგიდასთან, სადაც მეფური ტანისამოსით მორთული იჯდა დათვი, გარშემორტყმული ნადირთა ამალით.

დიმიტრიმ რომ გადახედა ამ დაკოდილ და დაშავებულ ცხოველებს, მაშინვე მიხვდა რაშიაც იყო საქმე, მუხლებზე დაეცა და პატიება ითხოვა.

— მე არ დავფიქრებულვარ, — თავს იმართლებდა მონადირე, — კვლავ აღარ მოვიქცევი აგრე...

— სმა გაიწყვიტე! — დაიღრიალა ტეის მეფემ ისეთი ბოხი ხმით, რომ დიმიტრის ენა მუცელში ჩაუვარდა. — გვიან არის შენი მონანება!

და დიმიტრი იძულებული იყო მოესმინა ყველა დაკოდილი პირუტყვების საჩივარი. ისინი თითო-თითოდ უახლოვდებოდენ მაგიდას, იშვერდენ დაკოდილ ასოებს და ითხოვდენ დიმიტრის სამართლიანათ დასჯას.

როდესაც დათვმა მოისმინა ყველა საჩივრები, უბრძანა ისევ ტყეში წასულიყვენ

მგელი სელ-ასლად სწვდა დიმიტრის კისერში, მიითრია კარებთან და ერთი ისეთი ჰანდური ამოჭკრა მონადირეს, რომ ეირაძალა გადაატარა.

დიმიტრიმ მოჭკურცხლა, მაგრამ ოთველ ბუჩქიდან, ოთველ ხის ძირიდან დაესხეენ ჰირუტუვები გასაგლეჯათ.

ჰირველათ მივარდა მას ხე-კაკუნა, ჩაჭკორტნა თვალში და დაუვირა:

— ესეც შენ სამაგიერო, რომ თვალი გამიფუჭე! — თრითინამ ხიდან ფიჭვის ხორკლები დააყარა, მელია სწვდა კუნთებში, მაჩვი ფეხებში გაებლანდა ისე, რომ დიმიტრი ჰატარა ტბაში ჩავარდა.

აქაც თავი ვერ დააღწია, გახელებული მტრები დაუხვდენ: ბატები და იხვები. ისინი ეიეინით მივარდენ და ეურების და თმების ჩიჩქნა დაუწყეს.

მაგრამ ჰირუტუვები დიმიტრიზე მოწყალენი გამოდგენ, ხოლო ერთ დღეს იმიეს შური. საღამო ჟამზე ბრძანება მისცეს ჟრუნას, რომ მან მთელ ტყეს შეატყობინოს ბრძოლის გათავება.

ვაგლახი დიმიტრი ისე იყო გალახული და დაკოდილი, რომ უგრძნობლათ დაეცა მიწაზე.

მეორე დილას რომ გამოეღვიძა ტყეში, ჯერ ეგონა სიზმრათ მომეჩვენაო. მაგრამ მერე დახედა თავის ნაკბენებს, დაფსაჭნილებს. საბრალო ფეხზე ძლივს წამოდგა. თოფიც დაჭკარგოდა, აღარც ქუდი ჩანდა, ტანისამოსი ნაფლეთებათ ქცეულიეო—მთელი სხეული დალურჯებული ჭქონდა.

გარშემო ბუჩქებიდან მოისმოდა ჩურჩული და კისკისი

ის იყო და ის, მას აქეთ დიმიტრი აღარ ნადირობდა, ტყეში თავს ველარ შეჰყოფდა, რადგან კურდღლები მას სასაცილოთ იგდებდენ.

ტახო.

(თარგმანი)

მელა გუპილის საზარელი თავგადასავალი.

(მოთხრობა ლუი ჰერგოსი)

IX.



ადამიანს 24 დეკემბრის დღე დაუსრულებელი ბინდი ეგონებოდა; მზე სულაც არ ამოსულიეო; მხოლოთ შუადღისას რამდენიმე მკრთალმა შუქმა ოდნავ გამოანათა მელანსავით შავი ღრუბლებიდან, რომელნიც სამგლოვიარო საფარსავით გადაჰფენოდენ დამუნჯებულ და დაღონებულ ბუნებას; მარტო ყვავების უსიამო ყვაას მახილი და კაჭკაჭების ნაღვლიანი ჩხავილი-და არღვევდა დრო-გამოშვებით ყველგან გამეფებულ ღრმა სიჩუმეს.

ბუხრების ამონაქშენი კვამლი სოფელს თითქო რაღაც სევდის ბურუსათ დასწოლოდა თავზე, იქაც ყველაფერი მიჩუმებულიეო; მხოლოთ დილას ადრე და საღამოჟამს გაისმა ეზოებში ხმაურობა, ბოსლების კარებები გაიღო და საქონელი ბღავილით და კიკინით წყაროსაკენ გაეშურა.

მაგრამ მაინც ამ მიეუჩებულ სოფელში ოოველივე ფხიზლობდა, ოოველივე ცხოვრობდა; ეს ხომ შობის წინა ღამე იეო; სამზარეულოში ყველგან უჩვე-

ულო აურ-ზაური იდგა; შუა-ღამის ვახშმისათვის*) და მეორე დღეს ქრისტეს-შობის სადღესასწაულოთ დიასახლისებს აუარებელი ზური და ქადა დაეცხოთ. გამხმარი ქლიავი, მარნიდან ამოტანილი ვაშლები და მრავალი სხვა ტკბილეულობა დაემზადებინათ; ყველა ამას სახლებში სასიამოვნო სუნი დაეტრიალებინა; ბავშებს თამაში და კინკლაობა დავიწყებოდათ. დიდებს გარს შემოჰხვეოდენ, სადღესასწაულო სამზადისს გატაცებით თვალ-ყურს ადევნებდენ და მოუთმენლათ მოელოდენ იმ ნეტარ წამს, როცა სუფრას მოუსხდებოდენ.

ოთველ სახლში გემრიელათ და მხიარულათ ისადილეს **). მერე ყველა მცხოვრებლები ღამეში ყვითლათ მოკიაფე სანათურებით ხელში ეკლესიისაკენ გაემართენ და ამრიგათვე შინ დაბრუნდენ; ოთველი ოჯახი თავის საუკეთესო, თბილ, დიდ-ბუხრიან ოთახში მოგროვდა და უხვათ შემკობილ სუფრას შემოუსხდა გასახსნილებლათ.

ბევრი სვეს, ბევრი სჭამეს, ბევრი იმღერეს, ბევრი იცინეს, და ბოლოს დიდედამ, როგორც ოთველთვის, დაიწყო თავისი დაბალი, თითქო რაღაც იდუმალი, შორეული ხმით, ჩვეულებრივი საშობაო ამბავის თხრობა.

„დიდი, დიდი ხანია მას აქეთ, რაც ეს მოხდა,

*) საფრანგეთში შობის წინა-ღამეს, როგორც ჩვენ საადგომოთ, ეკლესიაში მიდიან და შინ რომ ბრუნდებიან, შუა-ღამისას იხსნიდებენ.

**) საფრანგეთში სადილს საღამოზე სჭამენ.

ერთ შუა-ღამისას, ლოცვის დროს, მაშინ, როდესაც ის მიწები, რომლებსაც დღეს ჩვენ ვხნავთ სულ ბატონების ეკუთვნოდა და როდესაც ჩვენი ჰაჰების ჰაჰები მათ ემორჩილებოდენ.

ის იყო ლოცვისთვის უნდა დაერეკათ, როდესაც იმ სასახლეში, რომლის ნანგრევებს თქვენ დღესაც ჭხედავთ, შევიდა ერთი უცნობი კაცი და ბატონს მოახსენა: ტახებს შევასწარი თვალი მგლების ხეობაში და ამ მშვენიერ მთვარის შუქზე საუცხოვო ნადირობის გამართვა შეიძლებაო; ბატონმა, დიდმა მონადირემ, სრულიად დაივიწყა ეკლესია და თავისი მოვალეობა, საჩქაროთ შეაკაზმინა ცხენები თავისთვის და თავის ხლებულთათვის, ძაღლებიც გაამზადებინა; მაგრამ მისმა კეთილ-მორწმუნე მეუღლემ იმდენი იტირა და ისე ევედრა ქმარს, რომ ქმარი დათანხმდა, როცა ზარის რეკა გაისმა, მასთან ერთათ ეკლესიაში წასულიყო და მის გვერდით, თავის წითელ ხავერდის სავარძელში, ლოცვა მოესმინა.

ბალობა კიდეც დაწყობ..ლიყო; ბატონს შუბლი უკმაოფილებით ჭქონდა შენაოჭებული; ეტყობოდა ჭნანობდა, რომ სანადიროთ ვერ წასულიყო; ამ დროს ისევ ის უცნობი კაცი ჰირჯვარ დაუწერლათ შევიდა ეკლესიაში, მიუახლოვდა ბატონს და ხელ-ახლავ რაღაც უთხრა დაბალი ხმით, ყურში.

აქ კი ვეღარ მოითმინა ბატონმა და, თუმცა ცოლი ვედრებით შეჰყურებდა, აჩქარებით გავიდა ეკლესიიდან, მსახურებიც თან გაიყოლა. მალე გარედან

ცხენების ფეხის ხმა და ძაღლების გაბმული ყეფა მოისმა და მთელი ლოცვის განმავლობაში ერთ წამსაც არ შეწყვეტილა ეკლესიის შორი-ახლოს გაცხარებული ნადირობის ხმაურობა; ყველა მლოცველებს თვალზე ცრემლი ერეოდა და ყველა მით უფრო მხურვალეთ ლოცულობდა.

მთელ ღამეს გასტანა ნადირობამ; მერე, დილის რიჟ-რაჟზე, უეცრათ ყველაფერი მიეუჩდა; მაგრამ ბატონი სასახლეში არ დაბრუნებულა და მას შემდეგ აღარც არავის უნახავს იგი; ის სამუდამოთ გაჭრა თავისი ძაღლებით და თავისი ხლებულებით; და მას აქეთ ის ჯოჯოხეთში იწამება ღვთის ამ გვარათ დაგმობისათვის; და ღმერთმა სასჯელათ დაუწესა, რომ ყოველ ასი წლის თავზე ის შობა-ღამეს დედა-მიწაზე დაბრუნდეს და ისევ ინადიროს მთელი ღამე იმავ ძაღლებით და იმავ ხლებულებთან ერთათ.

საბრალო მისი მეუღლე ერთ მონასტერში გარდაიცვალა; რაც შეეხება იმ უცნობს, რომელმაც ბატონი აცდინა, აღარც ის უნახავს მას აქეთ არავის და ყველამ გადაწყვიტა, რომ ის თვით ეშმაკი უნდა ყოფილიყო.

დედა ჩვენს არ გაუგონია ამ ჯოჯოხეთური ნადირობის ხმა, მაგრამ მისმა დიდედამ კი გაიგონა ერთხელ; როგორც ახლა, ეს იყო ერთ შავ-ბნელ ღამეს...

სწორეთ ამ წამს რაღაც ეშეილი, რაღაც გაგრძელებული, საზარელი, სიკვდილის მომასწავებელი ეშეილი გაისმა და როგორც გლოვის ზარი ისე მოედვა

მთელ სოფელს; ამ უცნაურ ნიშანს ყველა ძაღლებმა, სოფლის და სოფელს გარშემო გაფანტულ სამოსა-ხლოების ძაღლებმა, ერთ ხმათ ჰასუხი გასცეს, მათაც გაგრძელებული, შიშის ზარ-დამცემი ჰასუხი; ნამდვი-ლი ჯოჯოხეთური ხმაურობა ატუდა, რომელიც ხან ისე გრგვინავდა, როგორც მუქარა, ხან კი გულ-ამო-სკვნილ ქვითინს მოაგონებდა ადამიანს; ხან და ხან ის ვით კვნესა ისე მისწუდებოდა ხოლმე, ხან კი ისევ მძლავრათ აბობოქრდებოდა და მერე ხელ-ახლავ და-ბალ, გულ-საკლავ ხმაზე გრძელდებოდა, დაუსრულებ-ლათ გრძელდებოდა საშიშ, გამოუთქმელი სევდით და სასოწარკვეთილებით სავსე, ერთფეროვან ჭანგათ.

— ვილოცოთ, შვილებო,—წარმოსთქვა დიდედამ, —ვილოცოთ ბატონის სულის შესანდობათ.

მთელ სოფელში იმ ღამეს თვალი არავის დაუ-ხუჭავს; კაცებმა კედლიდან ლურსმანზე ჩამოკიდებუ-ლი თოფები ჩამოიღეს და გულ-მოდგინეთ დაათვა-ლიერეს მათი გატენილი ლულები; და მათ სახეებზე რაღაც ახალ საუკუნეს ურწმუნოების ბეჭედი დაესვა, ძველ ცრუ-მორწმუნე შიშს ისე მოეტივტივებინა, რო-გორც წუალზე ქაფს.

ქალები და ბავშვები ხმა-ამოუღებლათ ბუხარს ეკვროდენ, ცეცხლს გარს ეხვეოდენ, თითქო სითბო-ში და სინათლეში ეძებდენ ხსნას ამ გაუგებარ, უც-ნაურ მოვლენისაგან, რომელიც მათ შიშით აცახცა-ხებდა.

მაგრამ მთელ სოფელში ყველაზე უფრო ღრმათ ლიზემ იგემა, ამ ღამეს, შიში და ძრწოლა.

სწორეთ მის სახლის წინ გაისმა ჰირველი საზარელი ყმუილი; მის სახლის წინიდან იყო, რომ საიდუმლო მეთაური ამ საიდუმლო ხმაურობისა ბრძანებლობდა უჩინარი ძალების ხროვას.

ძველ მონადირეს, რომელსაც აქამდის არც ღმერთი სწამდა და არც ეშმაკი, ახლა ცივი ოფლი ასხამდა; მან კარებს მუხის უშველებელი კამოდი მიადგა და მთელი ღამე მის უკან, გატენილი თოფით ხელში, სასროლათ გამზადებულმა გაატარა; მის გვერდით მირო, ბალან-აბურძგნული, კუდ-ამოძუებული, გულ-საკლავათ, შეუწუვეტლათ ყმუოდა.

გათენებისას ჯოჯოხეთური ნადირობის ხმა შესწყდა. სინათლით და სიჩუმით გამხნევებულმა ლიზემ კამოდი ფრთხილათ გამოსწია და ფრთხილათვე გაიღო თავისი სახლის კარები.

მის წინ თვალებ-გაშტერებული, ტყავ-გაქუცული, გვერდებ-ჩაცვინული, ჩონჩხათ ქცეული გუჰილი მოჩნდა; ის კატასავით მოკუნტულიყო და თითქო ლიზესკენ გადმოსასტომათ ემზადებოდა; სიცივეს ის მთლათ გაეყინა, სიკვდილს გაეშეშებინა; გამხმარ კისერზე ეჭვანი, მისი დამღუჰველი ეჭვანი ისევ ეკიდა.

მირო კრძალვით მიუახლოვდა მელას, დასუნა — და გაშორდა ცხვირის მოუსვენარი ცმაცურით.

ტვინ-არეული, მუხლებ-ჩაწუვეტილი ლიზე სახლში შებრუნდა, გამოიტანა ბარი, მოზრდილი ტომარა, ჩადვა შიგ თავისი საბრალო მსხვერპლის გაშოტილი გვამი და ტყისკენ გაემართა. მიროც უკან დაედევნა.

ტყეში ლიზემ თოვლს ქვეშ ღრმა ორმო ამოთხა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა, ჩაასვენა შიგ მკვდარი მელა და ისევ ამოავსო ორმო.

და ნელი ნაბიჯით დაბრუნდა შინისკენ, წელში მოხრილი, დაძაბუნებული, შიშით სავსე გამოხატულებით გაბნეულ თვალებში.

მირომ კი, რომელსაც მისი ჰატრონის-გვარი ფიქრები არ აძრწოლებდ-, მირომ ბრძნულათ და უჰატივცემულოთ აიწია თათი და, სანამ ლიზეს უკან გაჰქცეოდა, უსვათ მორწყო მიწის და თოვლის ჰატარა ნაცრის ფერი გორაკი, რომლის ქვეშაც გუჰილს უკანასკნელი საბოლოვო ძილით ეძინა.

(დასასრული)

თარგ. ელ. დემოლინ-წერეთლისა.

სისუფთავე ცხოველებთა შორის.

სხვა და სხვა ხალხს, სხვა და სხვა წარმოდგენა აქვს სისუფთავეზე. ზოგიერთი ხალხი ფიქრობს, რომ სასაცილო ჩვეულებაა ჰირის ან ტანის დაბანვა. ეგვიპტეში, ხმელთაშუა ზღვის ნაპირების მცხოვრებნი მეთევზეები თავიანთ სახლების წინ ჭერიან აუარებელ ნიჟარებს (ხამანწკის ბუდეებს), რომელნიც საშინელ სუნს აყენებენ და თვითონ მცხოვრებლები-კი ვერას გრძნობენ. ეს იშვიათი ამბავია, საზოგადოთ ადამიანს უყვარს სისუფთავე.

ცხოველებიც უკან არ ჩამოურჩებიან, მათაც უყვართ სიწმინდავე და სისუფთავე. მათ აქვთ ისეთი თვისება, რომელიც შველის ტანის სისუფთავეში. სხეული აქვთ მოუკანილი რგვლათ და ზედ არც მტვერი და არც სხვა უსუფთაობა არა რჩება, გარდა მაგისა ბალანიც ძირს აქვთ დაშვებული, ერთმანერთთან მჭიდროთ მიკრული და ამიტომ ტანს არ ეკარება სიბინძურე. მუდამ წელიწადს ბუმბულის და ბალნის გაცვივნა სისუფთავეს უფრო იცავს, ვიდრე ხშირი ტანის დაბანა. ბუნებამ როგორც ვხედავთ თვითონ ცხოველი საკმაოთ დააჯილდოვა იმ საშუალებებით, რომლებითაც მას შეუძლიან ტანი სუფთად შეინახოს. ბუნებას მიუცია მისთვის უხვათ წყალი, საუკეთესო საპონი—ნერწყვი, სხეულისთვის საჭირო საგანგებო

ქონი და სხვა და სხვა სამაგელი სუნი რომელიც გამოდის მათ ტანიდან, მაგრამ ეს სუნი ურჩევნიათ ყველა ჩვენ სურნელოვან წასასმელებს.

ცხოველებს აქვთ მოსართავ-მოსაკაზმათ ყოველგვარი საკარცხლები, კბილის საწმენდი, ტანის გასასუფთავებლათ ღრუბელი, ყურის გამოსაჩიჩქნი, თათსნაირი ჩოთქები, ცხვირ-სახოცები და სხვა. უმეტესათ საჭმლის ამღები ორგანოები ასრულებენ ამ დანიშნულებას.

მაიმუნები მეტათ დიდ ყურადღებას აქცევენ თავიანთ გარეგნობას, მაგრამ წელით იშვიათად იბანენ ტანს. ერთი სწავლული მოგვითხრობს, გიბბონს როგორ მიჰყავდა შვილები საბანებლათ წყალზე. ეს იშვიათი მაგალითია.

ასეთივე იშვიათია ნაამბობი, ვითომ შიმპანზე ყოველ დილით ჰირსა და ხელებს იბანს ცივი წელით. მაიმუნებს უყვართ ტანის გახილვა, თავიანთი გრძელი თათებით მუდამ დაეძებენ ბალანში მწერებს და ამ რიგათ იწმენდენ ტანს. ხშირათ მაიმუნი თათით ცხვირს იხოცავს, ზოგი ჭამის შემდეგ თათით ჰირს ძოიწმენდს. ბუნების მეტეველი ბრემი მოგვითხრობს ერთ მოშინაურებულ მაიმუნზე,

რომელიც ადამიანსავით ხმარობდა კბილის საწმენდს. მაიმუნებს რომ მოსწყურდებათ წავლენ ხილმე წყალზე და ჰირით იღებენ წყალს. მაგრამ ისეთი მაიმუნებიც არიან, რომელნიც მუჭით, (ჰეშვით) იღებენ წყალს და ისე სვამენ. ეს ჩვეულება უფრო წვერიან მაიმუნებს მოსდევთ, რადგან არ უყვართ წვერის დასველება. ლემურები, მაიმუნი „აი აი“ და სხვები ეურებსაც კი იჩიჩქნიან თავიანთ გრძელი თითებით და დიდრონი ბრჭყალებით.

კატის ჯიშის ცხოველებს ძალიან უყვართ სიწმინდავე, კატა საჭმლის შემდეგ იტლაკავს ტუჩებს, ილოკავს ტანს. თუ ენით ვერ მისწვდება იმ ადგილს, რომლის გაწმენდაც უნდა—თათს დაისველებს ნერწყვით და ისე გაიწმენდს, ხშირად ასე იწმენდს თავსაც. ამ ჯიშის ცხოველებს მშვენიერად აქვსთ მოწყობილი ენა. ის ისეთი ხორკლიანია, რომ გეგონებათ ბუნებრივი ჩოთქიაო. ასეთი ენით ცხოველი მშვენიერად ისუფთავებს ბალანს. რადგანაც ტანი ძლიერ მოქნილი და ადვილათ მოსახრელი აქვს, ცხოველი ასეთი ენით თითქმის თავისი ტანის ყველა ნაწილებს წვდება და ისუფთავებს. თათების ხშირი ბრჭყალები—საკარცხლის მაგივრობას უწევს და კანს აცლის ბინძურობას, რაც შეესება კუდს, ის ზოგიერთ ცხოველებისთვის ნამდვილ მარაოს წარმოადგენს, ლომი შემოიკრავს ხოლმე ფერდებზე კუდს.

კატა უწყლოთ ისუფთავებს ტანს, იმას არ უყვარს წყალი, ერიდება კიდეც. დათვებსაც უყვართ სისუფთავე, ხშირათ ლოკავენ შვილებს, რომ კარგათ გაუწ-

მინდონ ბალანი. მაკრამ აღამიანებს მაინც ვერ შეედრებიან სისუფთავეში. დათვს ზაფხულობით წელისა არ ეშინიან, ის ხმირათ შვილებითაც დადის საბანაოდ. აიყვანს შვილს კბილებით, რამდენჯერმე ჩაუშვებს და ამოიღებს წელიდან.

ჩვეულებრივ ცხოველები ჭამის შემდეგ იწმენდენ ტუჩებს, მეტადრე როდესაც სისხლით გასვრილი აქვთ. ღამურებიც ტანს ლოკვით ისუფთავებენ.

მღრინავი ცხოველები დიდ ეურადღებას აქცევენ სისუფთავეს. თუ თავს არ შეინახავენ სუფთად, აუცილებლათ სიკვდილი მოელით, რადგან შესაძლოა უბრალო მწერმაც-კი იმსხვერპლოს ასეთი ნაზი სხეული. კურდღელს თავის ბაჭიებით მხოლოთ მაშინ შეუძლია გასძლოს გალიაში, თუ ეს გალია სუფთად იქნება შენახული. ტანის წმინდათ და სუფთათ შესანახათ კურდღლები ხმარობენ თავიანთ მაგარ წინა კბილებს, ენას, სუქან ტუჩებს, ფრჩხილებს, რომელიც საკარცხელს მიეგვანება და თათის დიდ თითს, რომელიც აგრე რიგათ განვითარებული არა აქვთ

თაგვები, ციყვები, კურდღლები და ვირ-თაგვები ძლიერ სუფთად ცხოვრობენ. ზოგი ერთ ციყვს უყვარს ხის ტოტზე ცხოვრება, რომელიც მდინარეზეა გადაწოლილი. ეს ციყვი ჩამოეკიდება ტოტს, სვამს წყალს, ასველებს წყალში წინა თათებს და იბანს ჰირს.

ბუნების მეტყველი ბრეში ამბობს, რომ ზაზუნა ძალიან მარჯვეთ ხმარობს წინა თათებს, როგორც ხელებს, ჰირთან მიაქვს საჭმელი, მოსწყვეტავს თავთავს, გაიქნევს, რომ მარცვლები გამოცვივდეს და ისე

აკრიფოს. გაისუფთავებს ბალანს, წელიდან რომ გამოვა დაიბერტყავს წყალს, ჩამოჯდება უკანა ფეხებზე და დაიწყებს კოსტაობას. როგორც ეველა ცხოველები თავდაპირველათ, ჯერ გაიშრობს ბალანს თავზედ, მერე ზურგზე, — აიღებს ერთ ბღუჯ ბალანს და ერთმანერთს უსვამს, სანამ სისველეს არ შეაშრობს. ზაზუნას ეს ძალიან ესიამოვნება და დიდ ხანსაც უნდება.



ზ ა ზ უ ნ ა.

არის კიდევ ერთ გვარი ბატარა, კოსტა, მღრღნავი ცხოველი, რომელიც საღამოობით იწყებს სუფთაობას და ლამაზობას და ძალიან ბევრ დროსაც ანდომებს ამას.

როგორც ვიცით, არც დიდი ოთხფეხი ცხოველები ჩამორჩებიან უკან, მათაც უყვართ სისუფთავე და გალამაზება. მაგალითად:

ცხენს უყვარს ბანაობა. წყალში რომ შესვლას მოინდომებს ჯერ ჩლიქით შინჯავს... ის გრძნობს სიამოვნებას, როდესაც სამურველს უსვამენ. ხშირათ ცხენი ეხახუნება ხეს ან კედელს, როდესაც ტანის მოფხანვა უნდა. კუდს აქვს თავისი დანიშნულება, იმითი ცხოველი იგერებს ბუზებს და კუდითვე ცხოველი იწმენდს ბალანს, თითქო ჩოთქითო. ხშირად ცხენს ამა-

ხინჯებენ—აჭრიან კუდს. ეს აუშნოებს ცხენს და სილამაზეს აკარგვინებს.

სისუფთავის შემოსაღებათ სპილოს ეხმარება ხორთუმი, ამ ხორთუმით ის იღებს წყალს, მხოლოდ წმინდას,—ამბობენ რომ სპილოს ოოველთვის აქვს შენახული ხორთუმში წყალი ტანის გადასავლებლათ. ეს მართალი არ უნდა იყოს, უმეტესნი ეხით იწმენდენ ტანს.

—

ფრინველები უფრო აქცევენ ყურადღებას თავიანთ სილამაზეს, ვიდრე ცხოველები. ისინი ოოველთვის სუფთათ და კოპწიათ არიან. ეს იმიტომ რომ ფრინველებს ტანის უკანა ნაწილზე აქვთ ბუნებრივი წასაცხობი. ეს წასაცხობი ჩამალული აქვთ ერთ გვარ პატარა პარკებში, ფრინველი გარედან რომ დააჭერს იქიდან გამოვა ერთ-გვარი ქონი. ამ ქონს ფრინველი იცხებს ტანზე და ტანი ბზინავს. ამ ქონის შემდეგ ფრინველს აღარ უსველდება ბუმბული, ამიტომ ისვები, ბატები და ეკელა წულის ფრინველები არ სველდებიან რა გინდ დიდი ხანი დარჩენ წყალში და არც ისვრებიან ტალახიან გუბეებში. ფრინველი ისუფთავებს ტანს ნისკარტით, აგრეთვე შველის მას ბრჭყალები. ფრინველს უყვარს ბანაობა! ვისაც ჭეოლია გალიაში დამწყვდეული ჩიტი, იცის რომ ეს მართალია. ფრინველი ისველებს მუცელს და ფეხებს, თავს იქით-აქეთ ატრიალებს, ანძრევს ფრთებს და ისხამს ამ გვარათ წყალს ძთელ ტანზე. ცხოველები და ფრინველები, რომელნიც ცხოვრობენ დიდ საზოგადოებათ, ერთად, იცი-

ან ბანაობა. მაგალითად: თუთიუუშები, ფოცხვერი. ტანს რომ დაიბანენ, ცდილობენ ტანი გაიმშრალონ და ამისათვის მთელი საათობით სხედან უძრავათ, ფრთებ ჩამოშვებულნი, აბურძგნულები და შრებიან

მწერებიც არიან სისუფთავის მოუვარულნი, ისინი ხმარობენ თავიანთ თათებს ტანის გასასუფთავებლათ მათ თათები შეიარაღებული აქვთ ოოველთვის სამკაპიანი კავებით, თითქოს ჰაწია კბილებიაო. წინა ფესებით ის იხუფთავებს თავს და ულვაშებს, უკანითა ისწორებს ფრთებს, იბერტყამს მტვერს.

ა. ფ.

(გადმოკეთებული)

№ 9-ში შეცდომით იყო ჩართული სურათი ნათელ თევზას მაგივრათ ზღვის ძაღლები.

შემოდგომა.

ასევდიანდა ბუნება,
ფერი შეუკრთა ტყე-ველსა;
კაკალსა მოშრიალესა
და ვერხვსა შტოთა მრხეველსა,
მუხას ამაყად მდგომარეს,
ზვიადსა, შეურყეველსა;
მებრძოლსა ჭექა-ქუხილთან,
ქარ-ბუქთან ღამის მთეველსა.
ალარსად მოსჩანს მერცხალი
ფრთა მოცქრიალე, ფრთა-მალი,
გარიჟრაჟ განთიადისა
მემოციქულე მამალი,
დალლილი მუშის მკურნალი
სევდიან გულის წამალი
მოუძებნია სხვა კუთხე
ჩვენგან შორს, ზამთრის სამალი.
სხვა ფრინველებიც წავიდნენ
ი^ავ გზით, იმავ კვალითა,
აქ დაზრდილ-დაფრთიანებულ
შვილებით ბიჭებ-ქალითა,
ბუნების წესთან მოხდილნი
პირნათლად სრულის ვალითა...
ბელურა ჩიტებს-ღა ვხედავთ
დანაღვლებულის თვალითა.

ზ. მლვიმელი.

ბიბიას ნაამბობი.

(მოთხრობა ბავშვების ცხოვრებიდან)

დიდი დღესასწაული, 28 აპრილი.

ემს სიცოცხლეში ბევრს დიდ დღესასწაულებს შევსწრებივარ, მაგრამ იმისთანა ბრწყინვალე დღეს კი არა!.. იმ დღეს ბუნება მეტის-მეტათ კეკლუცი, დიდებული იყო, კეკლუცი და დიდებული, როგორც გაუფუჭებელი და სათნოიანი ჭაბუკის გული!.. მზე ისევ განცხრომაში იყო, როდესაც ჩვენ უკვე ავდექით... გავიწმინდეთ ჩექმები, გამოვეწყეთ ახლათ-შეკერილ საზაფხულო ტანისამოსში, გამოვცვივდით გარეთ და დაუწყეთ ერთი ერთმანერთს კოცნა-მილოცვა... დავაგუგუნეთ „ქრისტე აღსდგა“ და გაგვინათლდა გული... ბეჟანაშვილი და მიხა უგრეხელიძე, 6 თვის უძრახნი, შევარიგეთ და ხელი ხელს გაყრილები ჩვენს სიმხიარულეში მონაწილეობას იღებენ... გუშინ დედისაგანაც მომივიდა წითელი კვერცხები, ქადები და ნაზუქები... შიმშილით გული მელევა, მაგრამ ვითმენ, რადგანაც ვიცი, რომ მასწავლებელთან ერთათ უნდა ვისაუზმოთ და მერე ღარიბთა თავშესაფარში უნდა წავიდეთ მოწყალების გასაცემათ... ვითმენ კი, მაგრამ სურვილი დიდი მაქვს ჩემი დედის ხელებით გამომცხვარი ქადა ჩავკმიჩო, ჩვენი ქოჩორა ქათმების კვერცხები ვიგემო და ნაზუქებით პირი ჩავიგემრიელო... მზემ უკვე წითლათ შეღება მთისა წვერები და ჩვენს გულს სილაღე და სიმხიარულე მოუმატა... მოლოდინიც მალე გაგვიხორციელდა: დაირეკა ჩვენი ზარი და ყველანი წივილ-კივილით შევცვივდით სასადილო ოთახში, სადაც ჩვენს მასწავლებლებს თავიანთი ოჯახობით თავი მოეყარათ... მალე მღვდელიც შემოვიდა, პასკები და კვერცხები აკურთხა, „ქრისტე აღსდგა“ გვაგალობა და მოგვილოცა კიდეც აღდგომა ქრისტესი... ჩვენმა უფროსმაც ჯერ მასწავლებლები ჩაკოცნა და მერე ჩვენ მოგვილოცა ეს შესანიშნავი დღე... დავსხედით ყველანი ერთათ და შეუდეგით დასაუზმებას... ჩემი ქადები და ნაზუქები წინ მეწყო და არ ვიცოდი როგორ გამენაწილებინა სხვებისთვის...

ვასილ პეტროვიჩი მიხვდა ჩემს უხერხულ მდგომარეობას, ადგა, მოვიდა ჩემთან, დახედა ჩემს ქადა-ნაზუქს და წამოიძახა: „ბიჭოს, ეგ კაი ქადები მოგვსლია შენ! აბა ვიგემოთ ყველამ!“ რამდენიმე ქადა შემანახვინა და დანარჩენი კი პატარ-პატარა ნაჭრებათ დაამტვრია და ჩემს ამხანაგებს მისთავაზა. მღვდელმაც აიღო ერთი ნაჭერი და უფრო ის გამეხარდა—რომ ჩვენმა უფროსმაც იგემა დედას გამოგზავნილი ქადა და მოიწონა კიდეც.

საუზმის შემდეგ ყველანი ფეხზედ წამოვდექით, «განათლდი, განათლდი, იერუსალიმო» ჩავაკაკანეთ და მოსამზადებელი კლასების მასწავლებლის სიტყვა მოვისძინეთ. ამან ასე მოგვმართა ჩვენ: — მოგილოცავთ, ბავშვებო, ამ ბრწყინვალე და სასიხარულო დღეს!.. დღეს აღსდგა ქრისტე, რომელიც კაცობრიობის სიყვარულით გამჭვალული ეწამა, გაეკრა ჯვარს და რომელიც უკანასკნელ სულის ამოსვლამდის ლოცულობდა მტრებისათვისაც კი... ეს ის ქრისტე იყო, რომელიც ქადაგებდა სიყვარულს, ძმობას, რომელსაც უყვარდა ღარიბი და ხელ-მოკლე, უყვარდა თქვენისთანა პაწაწინა ბავშვები და სიყვაოულისა და სათნოების მაგალითებს აძლევდა კაცობრიობას თავისი ცხოვრებით... ჩვენც მივდიოთ ამ ცხოველ მაგალითს: გვიყვარდეს ერთმანეთი და შური და სიბოროტე ვაშოროთ ჩვენს გულს... ამ დღეს მაინც მოვიგონოთ, გავითვალწინოთ ის, რომ ქვეყანაზედ მაძღრების გარდა, მშივრებიც არიან, დავდომილნი, უნუგეშონი, ობლები, ქუჩაში დატოვებულნი... აი მოვივონოთ ყველა ესენი და რითაც შეგვეძლოს ხელი გაუწოდოთ, ვანუგეშოთ და ვაგრძნობინოთ ამათაც, რომ დღეს „აღდგომაა“, აღდგომა ქრისტესი, რომელმაც ანაცვალა თავი თვისი ამ ღარიბებს, ამ უმწეოთ დარჩენილებს... აბა მომყევით უკან, მიგიყვანთ ამ ღარიბთა სამფლობელოში, სადაც კვნესა ისმის, სადაც ტირილი და ვაებაა, ქვეყნის უსწორ-მასწორობის შედეგი... წამოიღეთ ვისაც რა გქონდეთ, გავიკითხოთ იგინი და დღევანდელი დღე იმათ— ვისაც ბრწყინვალე დღეთ გადავაქციოთ“. გვითხრა ეს, პატარ-პატარა პარკები დაგვირიგეს ხორაგით სავსე, ჩემს პარკს ჩემი ქადები და ნაზუქებიც მოუმატე და წავედით ღარიბთა თავშესაფარში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავ-შესაფარში.

მხოლოთ ეხლა მივხვდით, რომ ადამიანის გულს ორი მუდმივი სტუმარი ჰყოლია — სევდა და სიხარული: ერთი რომ სტოვებს გულს, იმ წამსვე მეორე იჭერს მის ადგილს! ასეთი ყოფილა ბუნების წესი. ღმერთო ჩემო, დღეს დილით რა მხიარულათ ვიყავით, რა ვარდი და ია ყვავოდა ჩვენს გულში, შუა დღისას კი ყველა ეს სევდათ გადაგვექცა იმ სანახაობის წყალობით, რა სანახაობაც გადაგვეშალა თვალ-წინ ამ თავშესაფარში! ძლიერი კალამი უნდა, მახვილი ენა, გამჭრიახე გონება და მასთან მაგარი გული, რომ შესძლოს კაცმა ყველა იმის გადმოცემა, რაც ჩვენ აქა ვნახეთ და რაც გავიგონეთ! უმეტესობას ბავშვები შეადგენდნენ — ბავშვები — გოგო — ბიჭები დატანჯული სახით, მოღრეცილი ფეხითა და ხელებით, დაუვარცხნელნი, დაჭუჭყიანებულნი... მხოლოთ ჩონჩხი, მეწუკიანი პირისახე! თვალი სისხლით იმსება ამ სანახაობით, იწვი და იდაგები, მაგრამ მაინცა სდგეხარ, აკვირდები ამ სურათს, ეძებ მიზეზს ამ ყოფისას, ეძებ წამალს ყველა ამის მოსასპობლათ, მაგრამ სულ ამაოთ, რადგანაც, მასწავლებლის თქმისა არ იყვეს, ნახევარზეღ მეტი კაცობრიობა ამ ყოფაში ყოფილა ჩავარდნილი!.. ყველა ცქერათ იყო გადაქცეული; ერთი მოვიდა კიდეც ჩემთან და ჩემი ბლუზის ღილების თვალიერება დაიწყო! სულ ახლო მოვიდა, მომხვია თავისი უძლური ხელები და დასუსტებული ხმით ლაპარაკიც დამიწყო:

— ეს ბლუზა ვინ შეგიკერა? დედამ ხო? არა? მე აღარა მყავს დედა!... მამაც დიდი ხანია მომიკლეს... ჩემი ძმაც სადღაც წაიყვანეს... მარტოკა დავრჩი, აღარავინა მყავს... ამოიკვნესა საცოდავათ და ლაპა-ღუპით ცრემლმა დენა დაიწყო. ამ სანახაობამ დამწვა და დამდაგა, დაღარა ჩემი გული და ბოღმის ცეცხლმა დაიჭირა მთლათ ჩემი არსება! ველარ გაუძელ ამ ცეცხლსა და მახვილს და ხმა-მაღლა ტირილი მოვრთე!! მომცვივდნენ ამხანაგები და თვალის დახამხამებაში გარეთ გამომიყვანეს... ის ბავშვიც უკან გამომყვა, მოვიდა ჩემთან... მოვიდა სულ ახლო, ისე ახლო რომ მისი ქშენაც კი მესმოდა და დამიწყო გამხნევება:

— ნუ იტირებ! აბა რისთვისა სტირი?... შენ ხომ დედა

გყავს... გაიგონებს, ისიც იტირებს... აი რა კარგი ბლუზა გაცვია!.. ნუ სტირი, გენაცვალე... გინდა წყალი მოგიტანო, ჩვენ ბევრი წყალი გვაქვს...

სხვებმაც ვეღარ გასძლეს იქ ყოფნა და ყველანი გარეთ გამოვიდნენ... მასწავლებელი კიდევ კარგ ხანს დარჩა იმ ბავშვებთან; ბევრი ელაპარაკა, ნუგეში სცა, გაამხნევა, მოწყალება დაურიგა და თვალ-ცრემლიანმა დასტოვა ეს «სევდის ბაღი».. გვიბრძანა გზას გავდგომოდით, მაგრამ ჩვენ ფეხს არ ვიცვლიდით, ვეხვეწებოდით, ვემუდარებოდით მასწავლებელს აქ დარჩენას, აქ სამსახურს, თვალ-ყურის-ჭერას! მაგრამ ვერა გავაწყეთ-რა და თავ-ჩაკიდულნი, დაფიქრიანებულები მოვშორდით იმ არე-მარეს... ის ობოლიც უკან გამოგვეტირა და ფეხდა ფეხ მოგვდევდა... მასწავლებელმა მოსჭიდა ხელი და ესეც წამოიყვანა თავ-შესაფარის ზედამხედველის ნებართვით... ამ გარემოებამ ძალიან გაგვახარა, მაგრამ რა სათქმელია აზვირთებულ ზღვის ტალღებთან მზის ერთი სხივი!!..

საორთველოთ დაგვითხოვეს.

ეგზამენები მაისის მიწურულებში გაგვითავდა... უკანასკნელ კლასში გადამიყვანეს... 35 მოწაფიდან თითქმის ყველანი გადავედით, ვანო გაფრინდაშვილის გარდა.. მეტის-მეტი დაღონებული იყო ეს უკანასკნელი... თვალები ეცრემლებოდა, არავის ეკარებოდა და მთელი დღე ნაყრი არ მიჭკარებია მის პირს. ჩვენ ძალიან შეგვეცოდა იგი და მისი დარდი საკუთარ დარდათ მივიმჩნიეთ... ჩვენმა უფროსმა შენიშნა ყველა ეს და დიდი ყურადღება მიაქცია მის მდგომარეობას: ელაპარაკა ბევრი, ბევრი ეალერსა, წიგნებიც მისცა წასაკითხავათ და შემდეგი გამამხნევებელი სიტყვა უთხრა მას: „თუ არ შენი ავათმყოფობა, შენც არ ჩამორჩებოდი შენს ამხანაგებს და არ დარჩებოდი იმავე კლასში... შენ ეხლა საკმაო დრო გაქვს თავი იჩინო: გაკვეთილებს ადვილათ ისწავლი, დრო ბევრი გრჩება სხვა და სხვა წიგნები წაიკითხო და საუკეთესო კაცი გამოხვიდე... მე ერთხელ ერთს კლასში კინაღამ სამი წელიწადი დავრჩი და მე ამისთვის არც მიტირნია და არც მივაგლახნია— ბევრი მიკითხავს, ბევრი მიწერია და ახლა ხომ ხე-

დავ—ჩემს ცოდნასა და სწავლას სხვას უზიარებ .. წადი შენც არხეინი გულით, იკითხე ბევრი, გაანათლე შენი გონება, გააფართოე შენი ნიჭი, ნუ დაკმაყოფილდები მხოლოთ გაკვეთილების სწავლებით და ერთი საუკეთესო კაცი შეიქნები. წინ ბევრი საქმე გაქვთ, ბევრს ვაი-ვაგლახს გამოივლით ცხოვრების მოედანზედ და მე არ მინდა რომ მოუმზადებელი, უიარაღო, უძლურნი გაგიშოთ სასწავლებლიდან საბრძოლველათ... ის კი არ არის იმავე კლასში დარჩენილი, რომგლიც ეცდება გონების შემუშავებას, გულის განწმენდას, ის არის დარჩენილიცა და საძაგელიც, რომელსაც დრო აქვს ყველა ამ საქმისთვის და ამ დროს უქმათ ატარებს... ამ სიტყვას ყველას გეუბნებით, მარტო გაფრინდაშვილი არა მყავს სახეში... დაღონება ამ საქმისთვის მხოლოთ ლაჩარი ბავშვის საქმეა და ჩვენ განა იმისთვის გამზადებთ, რომ თქვენი ლაჩრობითა და უხასიათობით სასოწარკვეთილებაში ჩაგვაგდოთ და გული დაგვიღონოთ“? ეს რომ სთქვა, ცოტა ხნობით შესდგა, ყველას თვალი გადაგვავლო და შენიშნა ერთი კიდევ მომტირალი მოწაფე, გამოუძახა ამასაც, თავზედ ხელი გადუსო, შუბლზედ აკოცა, ჩუმათ რაღაც უთხრა, გააცინა და დაამშვიდა იგი... ჩვენკენაც მოიხედა, გაგვიცინა და გვიბრძანა დიდს დარბაზში შეკრეფა...

დარბაზში სულ ყველა მასწავლებელს მოეყარა თავი; ყველანი მხიარულათ გამოიცქირებოდენ... ამათ იბაასეს, ბევრი იცინეს და მერე ვასილ პეტროვიჩი გამოგზავნეს ჩვენთან სალაპარაკოთ... ჩვენ სმენათ ვიყავით გადაქცეული, როდესაც იგი ავიდა ამაღლებულ ადგილსა და თავისებური თავაზიანობით ტკბილათ დაგვიწყო ლაპარაკი:—დღეიდან თქვენ დათხოვნილები ხართ სამი თვით... უნდა მიიფანტ-მოიფანტოთ სოფლებში... და აბა გახსომდეთ ეს სოფელი, გახსომდეთ ჩვენი საცოდავი გლეხები, ჩვენი მკვებავი მუშა-გლეხები... აბა წადით და გაუთბეთ იმათ ცხოვრებისაგან გაყინული გული; წადით თქვენც იმუშავეთ იმათთან, დაეხმარეთ ჭირ-ვარამში, გაამხნევეთ, გაალაღეთ მითი გული და მით დაამტკიცეთ, რომ თქვენი სკოლა ტყუილათ არა მუშაობს: თქვენი საქციელით შვება მიეცით იმათაც და ჩვენც, თქვენი ხელმძღვანელებიც, გაახარეთ... და რომ გაგიადვილოთ თქვენ ეს შრომა—აი სა-

ხელმძღვანელოთ გაძლევთ ამ გეგმას და თანახმათ ამისა გაითვალწინეთ თქვენი მოქმედებანი. უფროსი კლასის მოწაფეები ასწავლით გოგო-ბიჭებს წერა-კითხვას და თუ დიდები მოიცლიან იმათაც... უქმე დღეებში წაუკითხავენ წიგნებს, გააცნობენ ჩვენ მწერლებს, ჩვენს მდიდარ ენას, ჩვენს პოეზიას... იმისთვის გაძლევთ თქვენ საჭირო სახელმძღვანელოებს... 3 და 2 კლასების მოწაფეები შეჰკრეფამენ გლეხებისაგან გაგონილ ზღაპრებს, ლექსებს, გამოცანებს, ანდაზებს და სხ., ჩასწერამენ ისე, როგორც გაიგონებენ.—პატარა კლასელები დაეხმარებიან ღარიბ-ღატაკ გლეხობას ხელეურების მოტანაში, თავთავის მოგროებაში, კევრში და სხვ. აი ეს არის, ბავშვებო, ჩვენი დავალება და აბა თქვენ იცით, თუ როგორ გვასახელებთ... ვისურვებთ თქვენთვის მშვიდობის გზას, თქვენს კარგს კაცობას... იმედი გვაქვს 3 თვის შემდეგ მხიარულათა ვნახავთ ერთმანერთს და ჯან-ღონით სავსენი შეუდგებით სწავლას თქვენს საყვარელ სასწავლებელში.“ თქვა ეს, კიდევ გვისურვა გზა მშვიდობისა და სხვებთან ერთათ გავიდა დარბაზიდან.

ალ. ნათაძე.

(შემდეგი იქნება)

მარილი.

ზღვის მარილი

(გადმოგეთებული)



ღვის წყალშიც არის მარილი. ვისაც ზღვის წყალის გემო უნახავს, იმან ეს კარგად იცის. ყველა ზღვა ერთნაირათ მარილიანი როდია. მაგალითად: შავი და ბალტიის ზღვა არ ითვლებიან ძალიან მარილიანათ. ასი გირვანქა წყალი ბალტიის ზღვისა ერთ გირვანქა მარილსაც არ იძლევა. ამდენივე შავი ზღვის წყალი იძლევა ერთ და ნახევარ გირვანქა მარილს. ყველაზე უფრო მარილიანათ ითვლება წითელი ზღვა. ეს ზღვა იმდენათ მარილიანია, რომ ყოველ 100 გირვანქა წყალზე მოდის ოთხი გირვანქა მარილი.



მარილის აუზები ზღვის პირას.

ზღვის მარილის ამოღება თბილსა და ცივს ქვეყნებში სხვა და სხვა ნაირათ ხდება.

თბილ ქვეყნებში ადგილობრივი მცხოვრებლები ზღვის პირას აკეთებენ ფართე და ღრმა აუზებს — ეს აუზები ზღვის პირიდან დაწყებული ჩამწკრივებულია კიბის მსგავსათ. პირვე-

ლი აუზი ზღვის პირას მაღლა არის, მეორე დაბლა და ასე ბოლომდის. წყალი წინა აუზიდან უკანაში ადვილათ გადასაშვებია ზღვის წყალს მუშები ჯერ აუზების პირველ რიგში შეუშვებენ—მერე მეორეში... მზის სითბოთი წყალი თანდათან შრება და აუზების უკანასკნელ რიგში გროვდება სქელი მარილიანი სითხე, რომელიც ადვილათ გამოსაშრობია ქვაბებში, თუ არა და მზის სხივებიც საკმარისია, რომ წყალი სრულებით დაშრეს და მარილი ძირს დარჩეს.

ცივ ქვეყნებში, სადაც მზე კარგათ არ ათბობს, ზღვის წყალს ვეებერთელა კასრებში აგროვებენ. როცა წყალი გაიყინება, ყინულს ამტვრევენ და ამოაგდებენ. ქვეშ დარჩება სქელი მარილიანი სითხე. (მარილი ყინულს არ გაჰყვება). ამ სითხეს ქვაბებში ადუღებენ; წყალი ორთქლათ იქცევა და მარილი დარჩება.

მკვდარი ზღვა.

აზიაში არის ერთი ქვეყანა პალესტინა. ამ ქვეყანაში მიმდინარეობს მშვენივრათ ამწვანებულ-აფერადებულ ნაპირებში მდინარე იორდანი. ეს მდინარე ერთვის დიდ ტბას, რომელსაც, სიდიდის გამო, ზღვას ეძახიან. ამ ზღვის ძირზედ ბევრი მარილია მოგროვილი. ეს მარილი დნება და ძლიერ ამლაშებს ზღვის წყალს. პალესტინაში საშინელი სიცხეები იცის და ეს ზღვაც მთლათ დაშრებოდა, რომ მდინარე იორდანი არ შველოდეს. მიუხედავათ ამისა ზაფხულობით ზღვა იმოდენათ შრება, რომ ნაპირებზე დიდძალი მარილი რჩება. ზღვის ძირში კიდევ არის ასფალტი. ამ ასფალტს ზღვა იტივტივებს—ამიტომ ზღვას სხვა ნაირათ ეძახიან ასფალტის ზღვას. ასფალტისა და ბევრი მარილის გამო წყალი ამ ზღვაში საშინლათ მლაშე და მწარეა, რის გამო არავითარ ცხოველს და არც მცენარეს ამ ზღვაში გაძლება არ შეუძლიან. ცოცხალ ერსებას ზღვაში ვერ იპოვნით, ამიტომ დაარქვეს ამ ზღვას მკვდარი ზღვა. თუ მდინარე იორდანს შემოჰყვა ზღვაში თევზი, ლოკოკინა, ან რაიმე მცენარე—ისინი აქ იმ წამსვე იღუპებიან. ხშირათ შეხვდება კაცი მკვდარი ზღვის პირას, ან ზღვაზედ მოტივტივე. მკვდარ თევზს, ლოკოკინას, გამხმარ შტოებს და სხვა. მკვდარი ზღვის ნაპირებში არ არის მცენარე—ის აქ ვერ იხეირებს,

არა სჩანს ფრინველი—ის აქ საჭმელს ვერ იშოვნის, ცხოველები ახლოსაც არ ეკარებიან მკვდარ ზღვას—ისინი აქ წყურვილს ვერ მოიკლავენ. ადამიანი არ სახლობს აქ, არ ეკარება ამის ნაპირებს, ეს ადგილი მისთვის საშიშია. „ვისაც სიცოცხლე სწყურია, ამ ზღვას არ უნდა გაეკაროსო“ ამბობენ პალესტინელები. მკვდარი ზღვის ნაპირები უსიცოცხლო და მყრალია, ნესტიანი, ციებ-ცხელებიანი—ეს სენი ადამიანს სი-



მ კ ვ დ ა რ ი ზ ღ ვ ა.

ცოცხლეს უმოკლებს. 1813 წლამდის არავის გაუბედნია მკვდარ ზღვაზედ ცურაობა ნავით. ამ წელს ერთმა ირლანდიელმა მოიმზადა ნავი და შესცურა ზღვაში. ზღვის წყალი ბევრი მარილისა და ასფალდის გამო იმდენათ სქელი გამოდგა, რომ გამბედავი მენავე ნიჩბებს ძლივს ხმარობდა. ხუთი დღე და ღამე დაჰყო ზღვაზედ, შორს-კი მაინც ვერ წავიდა. ნიჩბებს მარილი აეკრო, ტანსაცმელი მარილითვე გაეჟღინთა—ტანზედ კანი დაუსკდა, დაუწყლულდა—მარილმა დასწვა. თავგანწირული მოგზაური დაბრუნდა უკან და მალე გარდაიცვალა მახლობელ ქალაქში. მას შემდეგ კიდევ ბევრმა სცადა მკვდარ ზღვაზედ მოგზაურობა, მაგრამ ყოველთვის უნაყოფოთ. ამ ნაირათ მკვდარი ზღვა დღემდის უსარგებლოა—იქიდან მარილს ვერ იღებენ.

დიდი მარილიანი ტბა.

ჩრდილოეთ ამერიკაში არის ერთი ტბა, რომელიც ძალიანა ჰგავს მკვდარ ზღვას; ამ ტბას დიდ მარილიან ტბას ეძახიან. როგორც მკვდარი ზღვის ნაპირებია უნაყოფო, ისე დიდ მარილიან ტბის ნაპირებიც წინეთ გაუვალ ჭაობებს წარმოადგენდენ; იქ არც მცენარე იყო და არც რაიმე ცხოველი ბინადრობდა, ამ ტბის უდაბნო ნაპირებში ადამიანმა შემდეგ მაინც მოიკიდა ფეხი. ეხლა იქ გაშენებულია მშვენიერი ქალაქი მრავალი არხებით და ხეივნებით. ეს ქალაქი დასახლებულია მშრომელი და მოჭირნახულე ხალხით — მორმონებით.



მორმონთა ქალაქი მარილიან ტბასთან.

დიდი შრომა და გაჭირვება გამოსცადეს მორმონებმა, სანამ უდაბნო ადგილს ბაანაყოფიერებდენ და ქალაქს გააშენებდენ. პირველათ სცადეს და დარგეს ხეები, სხვა და სხვა მცენარეები, მაგრამ მარილით გაჟღენთილ ნიადაგში მცენარეების ფესვები ჩახმა. მაშინ ახალმა მოსახლეებმა იწყეს მძიმე შრომა: მიწის ზედა პირი დაჰყვეს პატარ-პატარა ნაწილებათ, გაიყვანეს არხები, მახლობელ მდინარეებიდან არხებში გამოუშვეს წყალი. წყალმა ნიადაგიდან მარილი გამოიტანა და გაშენებულ მცენარეებმაც იხარეს. შემდეგ გამართეს ხეხილის ბაღები, დასთესეს პური — ერთი სიტყვით დიდ მარილიან ტბის გარშემო დღეს ცხოვრება სდუღს და გადმოდის. ყველაფერი

შეიცვალა ამ ტბის გარშემო. უცვლელი დარჩა მხოლოთ ტბა. იმის წყალი არ ვარგა არც სასმელათ, არც მინდვრების მოსარწყავათ. ამ ტბის წყალი ცოტაც რომ ჩაყლაპოს კაცმა კუჭში საშინელ ტკივილებს იგრძნობს და პირიდან არწყევინებს. ამ ტბიდან მარილის ამოღება ძნელი არ არის. ამისათვის საკმარისია ჭურჭლით წყალი ამოიღოთ და მზეზედ დასდგათ. ამ ტბის წყალი იმდენათ მლაშეა, რომ ყოველ 4 გირვანქა წყალში 1 გირვანქა მარილია. ვისაც ხორცის დამარილება უნდა, ჩაუშვებენ ხორცს წყალში; თორმეტი საათის შემდეგ ამოიღებენ და ხორციც დამარილებულია.

კასპიის ზღვას ერთვის მდინარე ვოლგა. ეს მდინარე ქალაქ ცარიცინიდან ვიღრე კასპიის ზღვამდე მიმდინარეობს ხრიოკ მინდვრებზე, მხოლოთ გაზაფხულზე და ზაფხულის შუამდის არის ეს მინდვრები მწვანით შემოსილი, სხვა დროს თითქმის უდაბნოს წარმოადგენს. მცენარე აქ ვერ ხარობს, იმიტომ რომ ნიადაგი მარილიანია. ვოლგის მარცხენა ნაპირზე ორი დიდი ტბა არის: ელტონი და ბასკუნჩაკი. ამ ტბების ძირი მუდამ მარილით არის დაფენილი. ელტონი სიგრძით 20 ვერსტზე და სიგანით 15 ვერსტზე გაჭიმულია.

ელტონი ღრმა არ არის, კაცს ყოველთვის შეუძლია ფეხით გადავიდეს ერთი ნაპირიდან მეორეზე. ტბას ერთვის რამოდენიმე მარილიანი მდინარე და თვით ტბის ძირშიც მრავალი მარილიანი წყარო ამოჩუხჩუხებს—ეს არის მიზეზი რომ ელტონი არასოდეს არ შრება, თუმცა ზაფხულობით ძალიან კლებულობს. ტბის ძირზე მარილი რამოდენიმე ფენათ აკრავს. რამდენათაც ქვევით არის ფენი, იმდენათ მარილი მაგარია და კარგი ხარისხისა. მუშები შედიან შიგ ტბაში და მარილის ქაფში დგანან. ასე მუშაობენ მთელ დღეს. ამტვრევენ მარილს წერაქვებით და ბარით, ფოცხებით აქუჩებენ და მერე გამოაქვთ ნაპირს. ნაპირზედ მარილს აგროვებენ ერთად, კალოსავით, თითო ალაგას 60—100 ათას ფუთამდის. მსხვილი მრეწველები მოდიან, ყიდულობენ მთელ მარილის გროვას და გადააქვთ რუსეთის სხვა და სხვა ქალაქებში გასასყიდათ.

ბასკუნჩაკი ელტონზე პატარაა. სიგრძით 10 და სიგანით 8 ვერსტი. აქ მარილს გაზაფხულობით ამტვრევენ, რადგან მაშინ მარილის ზემოდან წყალი სდგას და ადვილია გარეცხა

მომტვრეული მარილისა. სხვა დროს, მეტადრე ზაფხულში ტბა სრულებით შრება; მარილი ისე მაგრდება, რომ არც ბარი და არც წერაქვი არ ეკარება—ამას გარდა იმ დროს მარილიც უსუფთაოა, ზედ მტვერი და ლამი აკრავს; გასარეცხი წყალი კი არ მოიპოვება.

ქვა მარილი.

ეხლა ჩვენ ვიცით, რომ მარილს იღებენ მარილიან წყაროებიდან, ზღვებიდან და მარილიან ტბებიდან. მაგრამ დედამიწის სიღრმეში ბევრ ალაგას არის მარილი დაგროვილი ვეებერთელა ფენებათ, ზოდებათ. ეს მარილის ზოდები მიწის გულში ხშირათ სრულებით სუფთა და ბრჭყვიალაა, ხან-კი თიხაშია არეული; ზოდებს მიწაში ამტვრევენ და ზევით ამოაქვთ. რადგან ასეთი ნამტვრევები ქვასა გვანან, ამიტომ ეძახიან ქვა მარილს. ქვა მარილი გამჭვირვალეა, თუ, რა თქმა უნდა, არ ურევია სხვა რამ. მაგალითათ, თუ ზოდებში რკინის ჟანგი ურევია — ქვა-მარილი მოწითალო ფერისაა, სპილენძის გავლენით-კი მომწვანო, ან ქვა მარილს ზოგჯერ ტალახის ფერი აქვს, ეს თიხისაგან შეიძლება და სხვა. ქვა-მარილს ისევე ხმარობენ, როგორც ზღვის, წყაროს და ტბის მარილს. უსათუოთ ქვა მარილი ამ ნაირათ გაჩნდებოდა; წარმოიდგინეთ ზღვის პირათ ღრმა და განიერი თხრილი. როდესაც ზღვა ძალიან ღელავს, მომეტებულათ გაზაფხულზედ, ტალღები გაშმაგებული ეხეთქებიან ზღვის ნაპირებს და ვარდებიან თხრილში, სადაც ჩადგება ზღვის მარილიანი წყალი. ზაფხულში მზე წყალს აშრობს და თხრილში მარილი ჩარჩება. ესევე მეორდება ყოველ წელს დიდი ხნის განმავლობაში და თხრილში თან და თან გროვდება მარილი. შემდეგ ბროთა ვითარების გამო თხრილი ივსება სილით, თიხით და მარილი მიწაში მოექცევა. ზემოდან მიწის სიმძიმით მარილი თან და თან წვება, მაგრდება და ქვა-მარილათ იქცევა. უხსოვარ დროიდან ზღვებმა მიწაში მოაგროვეს აუარებელი მარილი. ქვა-მარილი მიწაში ბევრ ალაგას მოიპოვება. რუსეთში ორენბურგის გუბერნიაში არის დაბა ილეცი. როდის და როგორ აღმოაჩინეს აქ ქვის მარილი არავინ იცის; იციან მხოლოთ, რომ რვაასი წელიწადია ხალხი სარგებლობს ამ მარილით; ქვა-მარილის ზო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებს ილეცში უჭირავს ალაგი სიგრძით ორი ვერსი და სიგანით ერთ ვერს ნახევარი—სიღრმით-კი ჯერ არავინ იცის რამდენი. გახვრიტეს ზოდები 68 საჟნამდის და ქვევით ისეთი მაგარი მარილი დაუხვდაო, რომ ბურღმაც ვერ გასჭრა. არის ქვა-მარილი ეკატერინოსლავის გუბერნიაშიც. აქ მარილი ძალიან ღრმათ სძევს. მიწა უნდა გაიჭრას 57 საჟნამდის, რომ მუშა მარილზედ დავიდეს. კავკასიაშიც ბევრ ალაგას არის მარილი, მაგრამ ჯერ-ჯერობით მხოლოთ ერევნის მაზრაში—ს. კულპში ამუშავებენ ქვა-მარილს, ეს მარილი ძალიან კარგი თვისებისაა. წინეთ, სანამ რკინის გზას გაიყვანდენ კავკასიაში, ქართლ-კახელი გლეხები ურმებით დადიოდენ კულპში მარილზე. ეს მოგზაურობა ძალიან ძნელი იყო, ერთ თვეზე მეტი გრძელდებოდა და ბოლოს, როდესაც მარილით დატვირთული ურმები შინ ბრუნდებოდენ დიდ სიხარულს გამოიწვევდენ მთელ სოფელში.

ნ. წ ე ნ ო ვ ა.



ჯეკი.

ცეცხლის მჭრელი რაზმის ძალლი.

XVI.



ეორე დღესვე პაპა ახლო-მახლო ადგილებში წავიდა ბავშვებისათვის ბინის საძებნელად ბოლოს ერთი ახალგაზრდა უშვილო ქმრიანი ქალი ნახა, რომელიც დიდის სიამოვნებით დასთანხმდა ბავშვები თავისთან დაებინავებინა, ის დედა მოხარული იყო რომ ცოტაოდენი ფულს მაინც იშოვნიდა.

ერთი კვირის შემდეგ ქალაქის სადგურზე მატარებლიდან სამი მხიარული და ბედნიერი სახის ბავშვი გადმოვიდა და ვილასაც ეძებდნენ. სამა და ბილლი დიდი ხანია თავის სტუმრებს ელოდნენ. ახალმა მოსულებმა სამა რომ დაინახეს შერცხვათ და ერთმანეთს მიეკვრნენ და მადლობაც ვერ გადუხადეს, მაგრამ იმათი გაბრწყინვებული და მხიარული სახე უსიტყვოთაც გამოსთქვამდა მადლობას. სამამ სამივე ეტლში ჩასვა, რომ ახალ ბინაზე წაეყვანა. როცა გაუდგნენ გზას, მაშინ ბავშვები ცოტათ დამშვიდნენ და სიჩუმე დაარღვიეს. პირველად მერიმ დაილაპარაკა.

— ოჰ, რა კარგი ყოფილა აქა, ბილლი!—თვალები და სახე აღტაცებით ულამაშებდა. სამამ ქალაქის შესანიშნავი ადგილები ანიშნა, უჩვენა სადაც მისი ნაცნობები სცხოვრობენ და ვინ არიან. მერე გამოჰკითხა ქალაქში ცხელა თუ არა.

— ულ, საშინლათ!—უპასუხა ჯონმა.

— იცი, მე ჩემი თვალით დავინახე,—სიტყვა ჩამოართვა ძმას მერიმ,—რომ სიცხისაგან ქუჩაში ცხენი დაეცა.

— მზემ დაჰკრა,—გაუსწორა ჯონმა.—მაგრამ ცხენი არ დაიღუპა, საჩქაროდ პირუტყვების საავადმყოფოში წაიყვანეს.

როცა ცეცხლის მქრობელ ნაწილს დაუახლოვდენ ჯეკი კარებთან იჯდა, დაუძახეს და ეტლში ჩაისვეს. ჯეკმა ბავშვები იცნო, ძალიან გაეხარდა, მიეალერსა და დიდად კმაყოფილი

იყო რომ ეტლით მიჰყავთ, რადგან ეს სიამოვნება ძალიან იშ-ვიათი იყო ხოლმე.

— უყურე, ენნი, — უთხრა მერიმ, — როგორ ჰგავს ეს ძაღ-ლი იმას, რომელიც ჩვენ ცეცხლის მჭრობელ ნაწილშია.

— ჰო, ძალიანა ჰგავს, მაგრამ ის არ არის, — უპასუხა ენნიმ. — ის ხომ ქალაქშია და ძაღლები ასე შორს არ დარ-ბიან.

— შენ ვერ გამოიცანი, სწორედ ის ძაღლია, — წამოი-ყვირა ბილლიმ და უამბო როგორ გაჩნდა აქ ჯეკი.

ბოლოს იმ სახლთან მივიდნენ, საცა ბავშვები უნდა და-ბინავებულიყვნენ. სახლი ქალაქ გარედ იყო, ლედველის სახლ-თან ახლოს. გარშემო ბაღი ერტყა და კარებთან დიასახლისი იდგა და ალერსიანათ ბავშვები სახლში შეიწვია, სამა და ბილ-ლი გამოეთხოვნენ და სახლში წავიდნენ. ორი საათის შემდეგ შეჰპირდენ მოსვლას, რომ აქაური შესანიშნავი ადგილები ეჩ-ვენებინებინათ. გასაკვირველი სუფთა ჰაერი, სიმშვიდე, ამწვა-ნებული არე-მარე, ყვავილები, ფრინველების ჭიკჭიკი, — ეს სულ ყველაფერი აშტერებდა ბავშვებს, რომელნიც თავის დღეში თავიანთ დიდ ქალაქს არ გაშორებოდენ. ყველანი აუ-წერელ აღტაცებაში იყვნენ და მარტო ერთი პატარა ღრუბე-ლი აშუქებდა იმათ სიამოვნებას.

— ოჰ, დედაც რომ აქ იყოს, რა კარგი იქნებოდა! ამო-იოხრა ენნიმ.

— იმან აკი სთქვა, რომ ის ბედნიერი იქნება, როცა მო-ვალთ და ყველაფერს დაწვრილებით უამბებთ, — მიუგო მერიმ.

— ჰო, — ამოიოხრა კიდევ ენნიმ, — ვიცი რომ ეგა სთქვა, მაგრამ მაინც აქ ყოფნა ამ სუფთა ჰაერზე და ამ ყვავილების შეხედვა სულ სხვა არის.

— მაგივრად მანამ ჩვენ სახლში არ ვიქნებით ის დაისვე-ნებს და ცოტა საქმეც იქნება, — განაგრძო მერიმ.

— ხომ მოსწყინდება მარტოკა, საწყალს! — სთქვა ჯონმა; და სახლის დაშორებამ მეტათ შეაწუხა. — სულ სხვა იქნებოდა დედა რომ აქ ყოფილიყო.

— განა არ იცით, რომ არ შეიძლებოდა! მაშ ტყუილათ რაღას ლაპარაკობთ? — უთხრა მერიმ.

— მართალია, — სთქვა ენნიმ. — მოდი მოვაგროვოთ ყვე-

ლაფერი რაც კი კარგი რამ არის აქა, შინ წასაღებათ. ბი-
ლლიმ აკი სთქვა, რომ აქ ბევრი მშვენიერი ლოკოკინები და
კენჭებია...

— წასვლისას ყვავილებიც დავკრიფოთ და წაუღოთ. მა-
შინ მართლაც რომ გაეხარდება. ჩვენ ხომ ყვავილები არა
დროს არა გვქონია.

— არა, ეგ მერე იყოს,—სთქვა დაფიქრებით ჯონმა,—
ეხლა კი რაც შეიძლება ხშირათ ვსწეროთ ჩვენი ამბავი, წე-
რილების გასაგზავნი ფული მაქვს.—იმან ჯიბე დაიბერტყა და
რამდენიმე შავი ფული დაჩხრიალდა. დედას გზის სახარჯოთ
მიეცა.

ვინც ქალაქში სცხოვრობს და სოფლის ცხოვრება არ
გამოუცდია ვერც-კი გაიგებს თუ რამოდენ სიამოვნებას გრ-
ძნობს კაცი სოფლის მუშაობაში. ჩვენი ბავშვები დიასახლის
ყველა საქმეში შველოდნენ. მალე ქათმებს დაუმეგობრდნენ
და საკენკს უყრიდნენ, კვერცხებს აგროვებდნენ. ძროხებს,
რომლებისა წინათ ეშინოდათ, ისე შეეჩვივნენ, რომ გარეკავ-
დნენ და მორეკავდნენ, წველამდნენ და რძეს სწურავდნენ.

რა მხიარულება და სიხარული იყო თიბვის დროს! მერი
თივაში გორაობდა და შველა არ შეეძლო, მეორები კი ორ-
თითით ზვინებსა სდგამდნენ, ურემს დაასხდებოდნენ, ერთის
ყვირილით და ხმაურობით თივას ზიდავდნენ.

სამმა კვირამაც გაიარა. ბავშვები სრულებით გამოიცვალ-
ნენ: გასუქდნენ, მოლონიერდნენ და გაყოჩაღდნენ. ეხლა სა
ხლში დაბრუნების დროც მოახლოვდა. თუმცა დედის ნახვის
სურვილი დიდი ჰქონდათ, მაგრამ ძროხების, ქათმების და მე-
ტადრე ღორისა, რომელმაც მშვენიერი გოჭები დაყარა, მო-
შორება ძალიანი ეზარებოდათ.

წასვლის წინა დღით, ბინის პატრონმა ქალმა, საცა ისი-
ნი ცხოვრობდენ, გამოუცხადა, რომ ბავშვები არა თუ უშლი-
დნენ და აწუხებდნენ, პირიქით შველოდნენ და დიდათ სასია-
მოვნო იქნებოდა რომ ორიოდე კვირა კიდევ დარჩენილიყვ-
ნენ. მაშინათვე დედ-მამას მისწერეს, რომელთაც ნება დართეს.

ჯეკიმ მას აქეთ რაც ქალაქის ბავშვები ჩამოვიდნენ, ლე-
დველის სასახლეში სიარული მოუხშირა. მას აქეთ რაც ძველ
მანქანას და მეგობრებს მოაშორეს, იმას ცეცხლის მქრობელო-

ბაზე სრულებით გული აუცრუვდა. ეხლა ბავშვები აქ იყვნენ და მთელ თავის დროს იმათთან სიარულში და თამაშობაში ატარებდა. ბოლოს ჯეკი ლედველის სახლში სრულებით გადმოსახლდა. საჯინიბეს ახლო მოეთავსა, იმას ცხენების ფშვინვა და ფრუტუნი ძალიან უყვარდა. ერთად ერთი დამაბრკოლებელი მიზეზი ის იყო, რომ აქაური ლეკვების დედა მტრულის თვალით უყურებდა. ბოლოს ისიც შეურიგდა, როცა დარწმუნდა რომ ჯეკი იმის შვილებს არა თუ ავნებს, დიდის ალერსით და მოთმინებით ეპყრობა. როდესაც საწყალ ჯეკს ეძინა, ლეკვები ხან ყურებს გაუწევდნენ, ხან კუდს, ხან ზურგზე შეახტებოდნენ და არ ასვენებდნენ.

დიდი ბედნიერება იყო ლედველისათვის რომ ჯეკი იქ დასახლდა. ერთხელ მეეტლე ღამე საჯინიბოს კარებსა ჰკეტავდა და იქ კარების ახლოს ხის ქვეშ ჯეკი იწვა.

— ეი, შენ, ბებერო, შედი საჯინიბეში და იქ დაწექი, თორემ ისეთი ცივი ქარია რომ გაიყინები. ესა სთქვა და კარები გაუღო.

ჯეკს ბევრი თხოვნა არ დასჭირდა, შევიდა და საცა ცხენების მოსართავი ეკიდა იქ წამოწვა. მეეტლე-კი ზემო სართულში ავიდა და თავის ოთახში დაწვა.

საჯინიბოსთან და სახლის გარშემო დარაჯი დადიოდა, მაგრამ ეს ორი ღამეა გაცივდა, ავად გახდა და აღარ გამოდიოდა.

ჯეკი თივაში მოიკუნტა, კარგა ხანს ზემო სართულში ფეხის ხმას ყურს უგდებდა, მერე ხის ტოტების შრიალს და ქარის ზუილს. ბოლოს ჩაეძინა. წინათ, როდესაც ის მქროლელ ნაწილში იყო, ჩვეულებათ ჰქონდა ცალ-ყური აცქვეტილი წოლა. ეხლაც კიდევ ეს ჩვეულება შერჩა. ამ ღამესაც ყოველ წამს ელვიძებოდა და ვერ ისვენებდა. ერთხელ კიდეც წამოხტა, ცეცხლის მქროლელის ზარები მოესმა. მაგრამ ზარების ხმა კი არ იყო, თურმე ცხენმა ჯაჭვი იატაკს დაარტყა და იმის წკრიალი მოესმა: რაკი ჯეკს ერთხელ გამოელვიძა, ველარ დაეძინა, მოუსვენრათ იყო.

რა დაემართა? რატომ ისე მოუსვენრათაა? ბოლოს წამოდგა და ყურს უგდებს, ცხვირი მაღლა ასწია და მაგრა ყნოსავდა. ბოლოს წამოვარდა და ყველა კუთხის სუნვა დაიწყო.

ზემო სართულში ავარდა, მაგრამ იქ კარები შიგნიდან იხურებოდა, ჯეკმა ფეხი ჰკრა და კარები გაიღო, შევარდა ოთახში, სადაც ორი კაცი იწვნენ და მაგრა ეძინათ.

ეხლა ეჭვი აღარ იყო, თუ რამ აიძულა ჯეკი ამ ოთახში შემოსვლა. ოთახი ბოლით სავსე იყო. ბოლი სათივიდან გამოდიოდა. ჯეკი მეეტლეს ლოგინზე შეხტა და ყეფა დაიწყო. მეეტლემ ძილში რაღაც წაილუღლუღა, მეორე გვერდზე გადაბრუნდა და ისევ მაგრა ჩაეძინა. მაგრამ ჯეკი არ ეშვებოდა, იმან კარგათ იცოდა, თუ ცეცხლს რამდენი უბედურება მოჰყვება. ის ისევ ლოგინზე შეხტა და მძინარეს ფხაჭუნი დაუწყო და გამწარებული ყეფდა.

ბოლოს როგორც იყო მეეტლე გამოაღვიძა ჯეკის ყეფამ, მეორე კაციც გააღვიძა. მაშინათვე იგრძნეს რა ამბავიც იყო. წამოცვივდნენ, ტანისამოსი გადაიცვეს, კიბეზე ჩამოირბინეს, კარები გააღეს, გარეთ გამოცვინდნენ და შეჰქნეს ყვირილი: „ცეცხლია, ვიწვით!

ეს ხმაურობა მთელ არე მარეს მოედო. ყოველ მხრიდან შეშინებული ხალხი მორბოდა, ღამე ცეცხლზე უსაშინელესი არა არის რა. რამდენიმე წამში მთელი ეზო ხალხით აივსო. ცეცხლის მქრობელ ნაწილსაც შეატყობინეს, მაგრამ რა შეუძლია ერთ მქრობელ მანქანას, რომელიც ერთ ვერს ნახევარ სიშორის გამო როდის მოაღწევს. საბძელს, რომელიც ხმელი თივით სავსე იყო ცეცხლი ეკიდა.

ყველაზე წინ ცხენები უნდა გამოეყვანათ, მაგრამ ძალიან გაძნელდა. როდესაც ცხენებმა ხალხის ხმაურობა გაიგეს და ცეცხლის ტკაცა-ტკუცი ადგილიდან არ ინძრეოდენ. დიდის ვაი-ვაგლახით კარებთან კი მოიყვანდნენ და როცა ცეცხლის ალს შეხედავდნენ, ირეოდნენ და ისევ უკან იწევდნენ. ბოლოს თვალები აუხვიეს და ისე გამოიყვანეს.

მერე ეტლები, მოსართავები და სხვა ნივთები გამოჰქონდათ. ცეცხლი სახურავს მოედო და იმ მშვენიერ ალვის ხეების ტოტებს, რომელიც საჯინიბოს ახლო იდგნენ, ხრუკავდა და ფოთლები სცვივოდა.

ცეცხლი კი ქარის წყალობით უფრო ძლიერდებოდა და ნაპერწკლებს აქეთ იქით ფანტავდა და საქონლის სადგომ ეზოს უახლოვდებოდა, იქიდან შიშისაგან აღმუებული საქო-

ნელი, რომელთაც თავები შეხვეული ჰქონდათ, რომ ცეცხლი არსად არ მოხვდესო, გამოჰყავდათ და ტყეში მიჰყავდათ.

ყველანი დარწმუნებული იყვნენ, რომ ბოსლებსაც ის ბედი მოელის რაც საჯინიბეს, მაგრამ ხალხი თავის ცდას არ აკლებდა. ზოგი სახურავზე ავიდა და ნაპერწკლებს, ანთებულ ნუგუზლებს, რომელიც ქარს აქეთ იქით მიჰქონდა. აქრობდა და ისროდა, ზოგი-კი ჭის და ბოსელს შუა გამწკრიებული იდგნენ და ჩაფებით წყალს აწოდებდნენ.

ბოლოს ცეცხლის მქრობელი მანქანაც მოვიდა, მაგრამ გვიან-ღა იყო, საჯინიბე სულ ერთიან დაიწვა, სხვა შენობებს კიდევ ეშველებოდა რამე. საჩქაროთ ლულა მოაბეს მანქანას და ბოსელს, რომლის სახურავიდან ბოლი ამოდიოდა, შეასხეს წყალი და გადაარჩინეს.

ჯეკი-კი დარბაისლურად ხალხში დადიოდა, ისე როგორც უწინ, იმ ბედნიერ დროს, როდესაც ცეცხლის ქრობაში მონაწილეობას იღებდა. ის ხალხში დაძვრებოდა, ათვალიერებდა თუ როგორ მოქმედებდენ. როდესაც სამა და ბილლი მოვიდნენ ჯეკი იმათ აღარ შორდებოდა, თითქოს ეშინოდა არაფერი დაემართოსთ.

ცეცხლი სრულებით ჩააქრეს. საჯინიბე ნაცრათ იქცა, მაგივრად ბოსელი გადარჩა და არავინ არ დაღუპულა: არც ადამიანი, არც პირუტყვი, ლეკვები და კნუტებიც-კი დაიხსნეს. სულ ეს ჯეკის ჭკუის მოხერხებით და ჩაციების წყალობით მოხდა. როცა ეს ამბავი ყველამ შეიტყეს, ჯეკი ნამდვილი გმირი შეიქნა. ყველანი იმაზე ლაპარაკობდნენ, უკვირდათ იმისი ჭკვა და გამჭრიახობა, ყველანი ეალერსებოდნენ და ეფერებოდნენ. ის კი არხეინად კუდს იქნევდა და ყველას ალერსით შესცქეროდა. პაპამ ამ დღის სახსოვრად იმას მშვენიერი ყელსაბამი უყიდა, სადაც რკინის ფიცარზე დიდრონი ასოებით იყო ამოჭრილი:

„ჯეკს— ცეცხლის მქრობელს თავის მადრიელ მეგობრებისაგან“.

—

ჩვენ რომ უფრო მეტი დრო გვქონოდა უფრო მეტს გიამბობდით ჯეკზე და იმის მეგობრებზე თუ რა დაემართათ მათ. ეხლა-კი უნდა მოკლეთ აგიწეროთ რაც იმათ თავს გადახდათ.

სამა გაიზარდა, თავისუფალი ვაჟკაცი შეიქნა და მთელი თავის სიცოცხლე სულ სხვებზე ზრუნავდა და ცდილობდა, რაც შეიძლემა მეტი ადამიანი გაებედნიერებინა, ბილლი განთქმული მხატვარი დადგა. ეხლა იმდენი საშუალება აქვს, რომ თავის თავს, თავის დედას, რომელიც ძალიან დაბერდა, დასუსტდა და მუშაობა აღარ შეუძლია, აცხოვრებს. მაგრამ ორივენი იმას ფიქრობენ, რომ დეხმარონ, გაამხნეონ და ანუგეშონ ის უბედურნი ბავშვები, რომელნიც განსაცდელში ან გაჭირებაში არიან ჩავარდნილნი. ის ქალაქის სამი ბავშვები ყოველ ხაფხულ მოდიოდნენ ხოლმე ამ პატარა ქალაქში და შემდეგ ჯონი იმდენად წამოიზარდა, რომ ლედველმა თავის საქმეში ჩააყენა და მადრიელიც იყო. ენნი დედის ჩინებული თანაშემწე დადგა. ეხლა ისინი ყველანი ზღვის პირა პატარა ქალაქში სცხოვრობენ ერთ ფერმაში, სადაც ლედველმა იმათ მამას შესაფერი საქმე უშოვნა.

ბავშვების მამა ეხლა ისე აღარ იღალება, აღარ ჯავრობს და მთელი ოჯახი ბედნიერია. ჯეკი ძალიან დაბერდა, მაგრამ ყველას ახსოვს და ყველანი დიდის პატივისცემით და სიყვარულით ეპყრობიან. ღირსიც არის,—იმან ყველა ეს პირები დაახლოვა და შეაერთა გრძნობით, სიყვარულით და მათ შორის კეთილი განწყობილება ჩამოაგდო. ყველას ბევრი სიკეთე უყო და თავის სიცოცხლეში ბევრიც იშრომა.

— მშვიდობით, ჩემო საყვარელო ჯეკ! შენი ხსოვნა დიდ ხანს, დიდხანს დარჩება შენი მეგობრების გულში!

ეკ. მესხისა.

(დასასრული)



ორი ბავშვი.

(სოფლის ექიმის ცხოვრებიდან)

(დასასრული)

ეუა ღამე გადაცილებული იყო, როდესაც იაკობი ექიმით შეუდგენ გზას. საშინელი სიბნელე იყო, ქარი სასტიკათ ჯერ ზურგში უბერავდა მგზავრებს, შემდეგ იბრუნა პირი და დაუწყო პირდაპირ ბერვა, სახეზე აყრიდა თოვლს, გზა სრულებით დაჰფარა.

— ეტყობა ქარბუქი მოგვისწრობს გზაში და რაღა გვეშველება, როდის მივაღწევთ სოფელს, დაგვიანდება ჩემი სიმონიკას შველა და მომიკვდება ბალღი! სასოწარკვეთილებით დაილაპარაკა იაკობმა.

ექიმი ხმას არ იღებდა და ვერც გრძნობდა სუსხიან ცივ ქარს, მისი გონება სავსებით მიმართული იყო თავის ავათმყოფი შვილის საწოლთან.

აი თოვლმა მოუხშირა, წამობარდნა, უმატა ქარმა. ათას ნაირ ხმაზე დაიწყო ზუზუნ-ღმუილი, აატრიალა თოვლი ჰაერში და მოაყარა მგზავრებს ცხვირ-პირში.

ექიმი გამოეხვია თბილ ქურქში, დათვის ბეწვის საყელომ სრულებით დაფარა მთლათ მისი თავი.

— უფალო მიხსენი და შემიწყალე! ეტყობა ღმერთი გამირისხდა, მე, შეჩვენებულს, რომ ასეთი დღე დამესწრო, ვერ მივაღწევ დროზე სოფლამდის! საშინელი მწუხარეთ ამბობდა იაკობი და ესაყვედურებოდა საწყალ ცხენს, რომელიც თოვლის ნამქერში იფლეთოდა და ფეხებს ძლივს ათრევდა

ექიმი-კი სდუმდა. ის თითქო არც-კი ამჩნევდა მას, რაც ხდებოდა ბუნებაში, არც ესმოდა იაკობის ოხვრა-ჩივილი.

ნამქერი თან და თან მატულობდა, ცხენი ყოველ ფეხის გადადგმაზე იფლეთოდა შიგ, ლონე სრულებით გამოელია და ბოლოს სულ გაჩერდა.

— ღმერთო ჩემო, გზა მგონი დაგვკარგვია! ეს კიდევ ჩემი უბედურება, წამოიძახა იმედ დაკარგულმა იაკობმა, გადმოვიდა მარხილიდან, და მაშინვე ნამქერში ჩავარდა, ბოლოს როგორც იყო ამოძვრა იქიდან და ხელის ფათურით მოჰყვა გზის შინჯვას.

ცხენი თავჩაღუნული გაჩერებულიყო ერთ ადგილზე, ფრუტუნებდა და ქლოშინი გაჰქონდა.

ექიმი უეცრათ გამოირკვა თავის მძიმე ფიქრებიდან, იგრძნო რომ მარხილი არ იძვრის ადგილიდან, აღარც იაკობი სჩანს, ეხლა კი მიხვდა რაშია საქმე და რაც ძალი ჰქონდა დაიყვირა:

— ი—ა—კ—ო—ბ! ი—ა—კ—ო—ბ!!

— ა—ა—ა! მოესმა ძალიან შორიდან იაკობის ხმა, რომელიც ქარბუქის ღრიალს უერთდებოდა

— ჩანს გზა დავკარგეთ, ბატონო, წაილაპარაკა უცბათ იაკობმა, იქვე მარხილთან ახლოს.

— ნატამალი არა სჩანს-რა, ყველაფერი შეთოვლილია, ჩვენი ერთად ერთი იმედი ახლა ეს ცხენია; — აბა, ჩემო გონიერო მეგობარო, გამოიხსენი შენი პატრონი გასაჭირიდან! უთხრა იაკობმა ცხენს და ისევ მარხილში ჩაჯდა. ცხენი ძლივ-ძლიობით დაიძრა ადგილიდან და ნელის ნაბიჯით გასწია, თუმცა ხშირად იფლეთოდა ნამქერში და ჩერდებოდა.

მგზავრები მიდიოდენ, მაგრამ ის კი არ იცოდენ თუ საით მიდიოდენ. უეცრად მათ მოესმათ ძაღლების ყეფა, რომელიც ქარ-ბუქს მოჰქონდა.

— გესმით ძაღლის ყეფაა! დააყვირა იაკობმა. ქარმა დაჰგრიალა, ხელ ეხლა გაისმა ძაღლის ყეფა.

— ძაღლია! ძაღლი! დიდება შენდა უფალო! ეხლა სოფელიც ახლო იქნება და ჩვენც გზაზე დამდგარვართ. აბა, ჩემო ერთგულო მეგობარო, მოუჩქაროთ, მხიარულად წამოიძახა იაკობმა და გადაჰკრა ცხენს, ცხენმაც იგრძნო ბინის სიახლოვე და ჩქარის ნაბიჯით გასწია.

ცოტა ხნის შემდეგ მგზავრები უკვე შევიდენ იაკობის სახლში.

—

ეროვნული ბიბლიოთეკა

გლეხი იაკობის პატარა საწყალი ქოხი, ჭვარტლით გაშავებული კედლებით და ჭერით იყო განათებული პატარა გამურული ლამპით, ოთახში იდგა შეხუთული ჰაერი.

დაბალ ჭერზე ჩამოკიდებულ აკვანში უწვათ მძიმე ავათმყოფი. ყმაწვილი ძნელათ სუნთქავდა და საშინლად სრუტუნებდა. აკვანზე დაყრდომილი იყო ახალგაზრდა დედა, რომელიც ცხარე ცრემლებს აფრქვევდა. დატანჯული დედა, ქვითინს ძლივ-ძლიობით იმაგრებდა.

ქოხში სიჩუმე იდგა. მხოლოდ ძლიერი ქარი პატარა ფანჯრებზედ უმოწყალოდ თოვლს აყრიდა, ბუხარს ზუზუნი გაჰქონდა, თითქოს სამგლოვიარო ჰანგებს უმღერსო მომაკვდავ ბავშვს.

აი, ქოხის წინ თითქო მარხილი გაჩერდაო.

დედა წამოხტა ფეხზე, გულის ფანცქალით დაუგდო ყური, რამდენიმე წამის შემდეგ კარებმა დაიჭრიალა და ქოხში შემოვიდა ჩქარის ნაბიჯით ექიმი, მას უკან მოსდევდა იაკობი.

— ექიმო, დაიხსენი ჩემი საცოდავი ბავშვი, კვდება, კვდება! ქვითინით ეუბნებოდა ექიმს გამწარებული დედა.

— დაწყნარდი ჩემო კარგო, ღმერთი მოწყალეა, არ მოგიკლავს შენ ბიჭს, ვუშველი! დაყვავებით ეუბნებოდა ექიმი და ცდილობდა ენუგეშებინა საწყალი დედა.

— ცოტას გაუჭრი ყელში შენს სიმონიკას და მორჩება, მეტი არა უნდა-რა, დამშვიდდი საბრალო დედავ! ექიმმა ამოალაგა აბგიდან საჭირო იარაღები და შეუდგა საქმეს.

ოპერაცია სწრაფათ გაუკეთა, რომლის შემდეგ ბავშვმა წყნარად დაიწყო სუნთქვა და დამშვიდდა.

შვილის მორჩენის იმედის სხივმა გაუბრწყინა სახე დატანჯულ დედ-მამას.

—

გავიდა საზარელი ღამე. ინათლა. ქარბუქმა იკლო, დადგა მოღუშული უსინათლო დღე, მას მოჰყვა სუსხიანი საღამო.

მთელი ღამე და დღე არ მოშორებია ექიმი ავათმყოფი ბავშვის აკვანს, ის უჯდა მას თავთან და თვალ-ყურს ადევნებდა ხომ ცვლილება არაფერი ხდებაო, ბოლოს წამოდგა ექიმი, სახე სრულიად ჩამომხმარი ჰქონდა, თვალები ჩაცვინული და ამოლურჯებული.

— მადლი შესწირეთ უფალს, თქვენი შვილი გადარჩა სიკვდილს, უთხრა ექიმმა მშობლებს, — მალე სრულებით მორჩება, ჩემო იაკობ, ჩქარა, ჩქარა წამიყვანე ჩემ სახლში. ოხ! ღმერთო, ნეტა რა ხდება ახლა იქ?! სრულებით უნებლიეთ გულის სიღრმიდან ამოხვდა ექიმს ეს მეტათ მწარე სიტყვები.

დაბინდდა, — სევდით სავსე სიბნელემ მოიცო დედა-მიწა. ალაგ-ალაგ ცაზედ გამოჩნდენ ვარსკვლავები, ღრუბლებიდან ამოცურდა მთვარე და თავისი ცივი ვერცხლის-ფერი სხივებით გაანათა თოვლით დაფენილი სოფელი.

იაკობის ჭისკრიდან გამოვიდა უკვე ნაცნობი მარხილი, საჩქაროთ იაკობმა ჩასვა ექიმი და გააქანა მის ბინისაკენ.

ჩუმათ ზის ექიმი, ბეწვიან საყელოს ჩაუმალავს იგი.

— „ღმერთო, ღმერთო“, ფიქრობს ექიმი — რა მომელის სახლში? როგორა მყავს ჩემი ბიჭუნა! ვაი თუ კიდეც მოკვდა და გაციებული, ყვითელი სანთელივით დადუმებული წევს თვის პატარა საწოლზე!

სასოწარკვეთილება და მწუხარება ქეჯნიან ექიმს, მას მწარე ტირილი ამოსკდა გულიდან, თვალებიდან ლაპა-ლუპით წამოვიდენ ცრემლები და დაეცენ ქურქის საყელოზე.

სდუმს იაკობიც, მას თავში ათასნაირი ფიქრები უტრიალებენ, ოღონდ სულ სხვანაირი.

— ყოველივე ღვთის ნებაა, ფიქრობს იაკობი, — ერთი საათი რომ დამგვიანებოდა და არ მოესწრო ექიმს ჩემი ბიჭი ეხლა მკვდარი იქნებოდა, დალოცოს ღმერთმა ექიმი, რა კეთილი ადამიანი ყოფილა, თავისი მძიმე ავათმყოფი შვილი დასტოვა და მე გამომყვა. სწორეთ იშვიათი კეთილი ადამიანია. მაგრამ ძალიან სულელი მზარეული დედაკაცი ჰყოლია... ეს სულ მეცნიერების წყალობაა, გადავიდა ისევ ექიმზე — დახეთ, ბავშვს ერთი ჩაკრა ყელში დანა და იმ წამსვე უკეთ შეიქნა. ოხ! მოკვდებოდა უსათუოთ ჩემი სიმონიკა უექიმოთ.

შორიდან გამოჩნდა ეკლესიის ჯვარი.

— ეხლა-კი მალე მივალთ ღვთით! ხმა-მაღლა წარმოსთვა იაკობმა.

— რას ამბობ? დაეკითხა ექიმი.

— მალე მოვალთ, ბატონო, აი ეკლესიის ჯვარი გამოჩნდა და გადაჰკრა ცხენს შოლტი.

საავთომყოფოც გამოჩნდა და განათებული ფანჯრებით ექიმის სახლიც.

— მოვედით, ბატონო! დაიძახა იაკობმა და გააჩერა მარხილი ექიმის სახლის წინ,

ექიმი საჩქაროთ გადმოხტა და მოუთმენლათ დაუკაკუნა სამზარეულოს კარს.

— როგორ არის ვანო! ხმის კანკალით დაეკითხა მზარეულ ქალს, როდესაც მან კარი გაუღო.

— უკეთ, ბატონო უკეთ, სულ თქვენ გკითხულობს.

— დიდება შენდა უფალო! წამოიძახა თვალ-ცრემლიანმა ექიმმა და სწრაფლათ შეეარდა ოთახში.

ივლ. ნაკაშიძისა

(თარგმანი)

ყოველგვარი ხარისხის და ფოდეგის ხალხი.

ვაჭრები

თავადები ამა ქვეყნისა

ევროპიელების პირველი მასწავლებელნი ვაჭრობისა იყვენ ფინიკიელები, რომელთაც მოიხვიჭეს დიდება და სიმდიდრე ომიანობით კი არა,—ხოლო ნაწარმოების გაყიდვით.

ესენი გაჩნდენ ზღვათა-შუა ზღვის სალი კლდეების ნაპირებზე და თევზაობას მისდევდენ, აგრეთვე ადრევე დახელოვდენ ზღვაზე ნავოსნობაში. თავიანთი უშნო, მაგრამ გამძლე ნავებით და პატარა იალქნიანი გემებით ისინი ერთი კუნძულიდან მეორეზე გადადიოდენ და თან და თან შორდებოდენ თავიანთ მხარეებს, აღმოსავლეთის ქვეყნებს „ასუს“. ასე მიდიოდენ დღითი ნათელოვან მზის ღმერთის „მელკარტას“ ხელმძღვანელობით და ნათელ ღამეში ვარსკვლავთა კრებულის შემწეობით და ამათ ცოტ-ცოტა იპოვეს ზღვის იქით დასავლეთის ქვეყანა „ეერებ“. მაშინ პირველათა ნახეს ამათ განსხვავება ორ დედა-მიწათა შორის და დაარქვეს ერთს აზია და მეორეს ევროპა“.

ფინიკიის გემები მართალია თავიანთ კიდეებს თვალს არ აშორებდენ, მაგრამ თან და თან დასავლეთისკენ იწეოდენ. გაუარეს იტალიას, სიცილიას, სარდინიას და ეს ზღვაოსანი ვაჭრები მიადგენ ისპანიას, სადაც იპოვეს დიდ-ძალი მადნები. სამღვთო სჯულის წიგნში ამ მადნებზე ასე სწერია: მდინარეების ფსკერი მოჭედილი იყო ვერცხლით. დიდრონ იალქნიან ნავებს ვერ წაეღოთ ხოლმე ის დიდძალი მადნები, რომელსაც აქ პოულობდენ და რომ შესძლებოდათ რაც შეიძლება მეტი ვერცხლის თან წაღება ფინიკიელები ვერცხლის იარაღებს ხმარობდენ, რკინის და ბრინჯაოსანი იარაღების მაგივრათ.

თქმულობათ არის გადაქცეული, რომ ხომალდები ბრუნ-
დებოდენ თავიანთ კიდეებზე ვერცხლის ღუზათი (ხომალდის
დასაბმელათ კავებიანი რკინაა).

ფინიკიის ვაჭარი გატაცებული სიმდიდრის შოვნით სულ
შორს, შორს მიდიოდა. მან ისე მოაწყო თავისი იალქნიანი
გემები, რომ გასკილებოდა გიბრალტარის კლდეებს, რომლებ-
საც სთვლიდენ ქვეყნიერების ბოლოთ. იმის იქით, ამბობდენ
ძველი კაცები, მგზავრს მოელის ათასი ვაი-ვაგლახი და აუ-
ცილებელი დაღუპვა. მაგრამ ფინიკიის ვაჭარი არ შეეპუა ამ
შიშს და გადააბიჯა სამზღვარს ხალხისაგან ერთხელ დადებულს,
და გაიკვლია გზა დასავლეთის მხარისაკენ—აფრიკაში და ბალ-
ტიის ზღვის ვერანა კიდეებისკენ.

რა ადგილებშიაც კი გაივლიდენ ეს ვაჭრები ყველგან
მართავდენ საწყობებს და მერე ეს დაბები გარდიქცევოდენ
მნიშვნელოვან და ძალოვან ქალაქებათ. ყველა ქვეყნიერები-
დან მოჰქონდათ თავიანთ ნავთსადგურში ხარკი—საქონლისა.
ევროპიელ ქვეყნებიდან გამოჰქონდათ ხორბლეულობა, ტყა-
ვები, ვერცხლი, კალა, ქარვა. აფრიკიდან გამოჰქონდათ შავი
ხე და სპილოს ძვალი, ძვირფასი სირ-აქლემის ბუმბული და
ოქროს სილა. ამ ჯერეთ გაუკეთებელი საქონელთა გარდა შე-
მოჰქონდათ ცოცხალი საქონელიც—მონები, რომლებსაც დიდ
ქალაქებში ბაზარში ჰყიდდენ.

უმეტეს ნაწილათ ვაჭრები სვინიდისიერათ არ იძენდენ
სიმდიდრეს. მათი ერთათ ერთი მიზანი იყო—უნდოდათ გამ-
დიდრება და რა გზითაც ყოფილიყო—იმას არ დასდევდენ.
მათი მოქმედება დაიწყო ზღვაზე ყაჩაღობით და ხშირათ უბ-
რუნდებოდენ ამ ხელობას, ისე რომ ვაჭრობის მაგიერათ ყა-
ჩაღობა იყო და აღებ-მიცემობისა—ცარცვა-გლეჯა. ისინი ხან
წესიერი ვაჭრები იყვენ და ხან ყაჩაღობდენ: ცარცვამდენ სახ-
ლებს, ეკლესიებს, მოსავალს უწვამდენ, იტაცებდენ დედა-კა-
ცებს და ყმაწვილებს, რომ მერე აღმოსავლეთის ბაზარში გაე-
ყიდნათ.

მაგრამ ესენი ძალოვან ხალხს ვერ უბედავდენ ამ გვარ
საქმეს. მათთან ფინიკიელები ჰკრამდენ ნებით სავაჭრო პირო-
ბებს და ამ პირობებით ფინიკიელების ხომალდებს ნება ჰქონ-
დათ უცხო ქვეყნების ნავსადგურებში შესვლისა. ამ პირობის

ძალით მათ მიჰქონდათ უცხო ქვეყნებში თავიანთი ქვეყნის ნაწარმოები — ტირის და სიდონიის ხელოსნების ხელოვნური ხელთ საქნარები. ესენი აწოდებდენ მთელ ქვეყნიერების სახელმწიფოებს ძვირფას აბრეშუმეულობის და დიბა—ფარჩის ტანისამოსს. ძვირფასი თასები სიდონიის ხელოვნებისა ამშვენებდენ იზრაილის ხელმწიფების და ეგვიპტის ფარაონის სუფრებს, ბერძნების დიდ-კაცობა მოდიოდა აღტაცებაში ამ ხელოვნური ნაწარმოებით. გომერი, ძველი საბერძნეთის გამოჩენილი მგოსანი, თავის წიგნში „ოდისეიში“ არა ერთხელ უძღვნის შესხმას მთელ ქვეყნიერებაში გათქმულ სიდონიის ხელოვნურ ნაწარმოებს—ძვირფასს ფიალასა. სამღვთო წერილშიაც დიდი ქებით არის აწერილი ფინიკიის ხელოსნებისაგან გაკეთებული სოლომონის ტაძრისთვის ბრინჯაოსის ჩუქურთმები.

ამ გვარათ ფინიკიის ვაჭრებმა გამართეს მისვლა-მოსვლა მთელ მაშინდელ ქვეყნებთან—მოყოლებული ბრიტანიიდან ინდოეთის ოკეანამდის და „გაითქვეს სახელი მთელ ზღვებთა-პირას“. როგორც სწერენ სამღვთო სჯულის წიგნში. ტირი, რომელიც სანამდის მეთევზეების დაბა—ადგილი იყო—გახდა სახელოვანი ქალაქი, რომელშიაც „აუარებელი ვერცხლის მტვერს და ოქროს ტალახს ნახავდით. ვაჭრები კი გადაიქცენ თავადებათ ამა ქვეყნისა“.

ამ „თავადებმა ამა ქვეყნისა“, რომელნიც ფიქრობდენ მხოლოთ თავიანთ სარგებლობაზე და მოგებაზე უნებლიეთ შეჰქნეს უდიდესი ისტორიული ხანა; თავიანთი გამბედაობით და საქმის მარჯვეთ წაყვანით ევროპა გამოიყვანეს ვაჭრობის სარბიელზე და ბერძნები წაახალისეს მსოფლიო აღებ-მიცემობაში. ამ აღმოსავლეთის მასწავლებლების მიხედვით, რომელნიც, სამართლიანათ რომ ვთქვათ, იყვენ შემომტანი პირველათ წონისა და ზომისა, ბერძნები გათამამდენ, გადიოდენ ზღვებზე და იწყეს თვითონც დიდი ვაჭრობა. გარდა ბერძნებისა ფინიკიელებს გამოუჩნდათ საშიშ მეტოქეთ ვაჭრობაში — რომაელები და ხმელთა-შუა ზღვა ფინიკიელების ვაჭრების წყალობით გახდა ყველასთვის ერთი საუკეთესო სავაჭრო ადგილი.

ბევრი საუკუნოების შემდეგ, როდესაც რომაელების მფლობელობა დაეცა და გამარჯვებული ბარბაროსების წყა-

ლობით დიდი ხნობით შეწყდა ხალხის ხმელეთ და ზღვებზე ერთმანერთ შორის დამოკიდებულება, მაშინ იჩინა თავი აღმოსავლეთის სხვა ხალხმა—არაბებმა და დადუმებულ ევროპაში კვლავ გაიღვიძა ვაჭრობის ხალისმა.

არაბების ვაჭრები.

მერვე საუკუნეში სულ უცნობმა ხალხმა არაბებმა თავიანთი ძალით და წარჩინებით სახელი გაითქვეს. მათი მფლობელობა ინდოეთის ზღვიდან დაწყობილი ატლანტიის ოკეანამდის სწვდებოდა და როდესაც ევროპიელი ქვეყნები დაქვეითდენ და მოძლურდენ არაბთა სახელმწიფო აყვავდა და სახელი მოიხვეჭა. მთელ დასავლეთ მხარეში არ მოინახებოდა ასეთი დახელოვნებულნი მიწის მუშაკნი და ხელოსნები, როგორიც იყვენ ამ მართლ-მორწმუნე ხალხში. თვით მღალ ხარისხოვანებს აღმოსავლეთ არაბეთში მიწის შემუშავება არ მიაჩნდათ დამცირებათ, როდესაც ქრისტიანებს ეზიზღებოდათ და მიაჩნდათ ეს ხელობა მონებ-გლეხების საქმეთ. არაბები ვაჭრობას უყურებდენ უმაღლეს საქმეთ. ხომ თვით წინასწარმეტყველიც, მაღომეტი, იყო ვაჭარი, სანამ ალლახმა მოიხმო თავისთან.

არაბებს ჩამომავლობით მაინც მოსდევდათ მოხეტიალე ხალხის კვირცხალი ხასიათი. ისინი თითქოს გაჩენილი იყვენ დიდ ვაჭრობისთვის, დიდ წარმოებისთვის.

მერვე— თითქმის მეათე საუკუნეებში მათ ეჭირათ ხელში მთელი აღმოსავლეთ-დასავლეთის ვაჭრობა. ისინი გახდენ შუაკაცებათ აზიის, აფრიკის და ევროპათა შუა და მათი ენა იმ არე-მარეში—გიბრალტარიდან დაწყობილი ინდოეთამდის გახდა ვალდებულ ენათ. ამათივე წყალობით შემოვიდა წესიერი აღებ-მიცემობა და გახდენ ერთი ორათ ძრიელნი, ვიდრე ვეებერთელა რომაელების იმპერია, რომელიც იკვეხოდა, რომ თავიანთი ხმლით მთელ ქვეყანას შეიპყრობს.

არაბთა სამფლობელოს დიდ ქალაქებში საჩინო მნიშვნელობა ჰქონდა სავაჭრო უბნებს ანუ ბაზარს, ეს სიტყვა არაბულია. ამ უბნებს ზოგჯერ დიდი ადგილი ეჭირათ და მთლათ მოფენილი იყო დიდ ძალი საწყობებით, მაღაზიებით, დუქნებით. მის ვიწრო ქუჩებში მზის ამოსვლიდან—ჩასვლამდის

ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა



† ნიკოლოზ ზებედეს ძე ცხვედაძე.

ომელი ქართველი არ იცნობდა ნიკო ცხვედაძეს? რომელი ქართველი არ უყურებდა იმას ისე, როგორც „ჩვენ ნიკოს, ჩვენ მოსარჩლეს, ჩვენ მოამაგეს. ჩვენი საზოგადო საქმეებისთვის თავ-დადებულ და თავ-გამოდებულ მოღვაწეს?

თითქმის ორმოცი წელიწადი ნიკოლოზ ცხვედაძე მესვეური იყო ყოველს ქართულის საქმისა. ის ეკუთვნოდა იმ სამოციან წლების მოღვაწეთა გუნდს, რომელთაც შეჰქმნეს ქართული განახლებული სკოლა, ქართული წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, დრამატიული საზოგადოება, ქართული ჟურნალ-გაზეთების და საზოგადოდ მწერლობის საქმე ჩვენ ღედა ქალაქ თბილისში.

მაგრამ მომატებული ღვაწლი და სიმხნევე გამოიჩინა ცხვედაძემ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მუშაობაში. ის იყო დაუღალავი თანაშემწე საზოგადოების თავმჯდომარისა მთელი ოცდა ხუთი წელიწადი. ის იყო აღმძვრელი ყოველ გვარის პედაგოგიურის კითხვებისა და ფეხზე დამყენებელი ყოველის დაწყებულის სამოსწავლო საქმის. იმისის გასაოცარის მხნეობით და თავგამეტებით დამკვიდრდა და აჰყვავდა ქართული სკოლა კავკავში. იმისის მხნეობით და თავგამოდებით გადარჩა ბათუმის სკოლა სიკვდილს... იმის წინადადებით დაარსა ქართულ წერა-კითხვის სკოლებში ადგილობრივი მზრუნველობა, ურომლისოდაც ამ სკოლების წარმოება შეუძლებელი იქნებოდა. ნიკომვე ააშენა წინარეხისა და გომარეთის სკოლები.

მაშინ, როდესაც ეს სკოლები ღაარსდა, საქმე მათის მოწყობისა ძრიელ გაძნელებული იყო, მაგრამ ნიკო ყველას პირში ეუდგა და ყოველთვის გამარჯვების ლელოც გაჰქონდა საზოგადოთ იმის დროს წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების საქმენი დიდ წარმატებაში იყვნენ, მაგრამ ის მაინც იძულებული შეიქნა თავი დაენებებინა ამ თავის პირმშო საყვარელ საქმისათვის...

მაგრამ ნიკოსთვის უსაქმურობა შეუძლებელი იყო. ეს ნამდვილი აღმშენებელი იყო და კვლავ შეუდგა აშენებას, ეხლა უფრო დიდს, საშვილიშვილო, საეროვნო შენობისას. და დიდის შრომით, დიდის გაჭირვებით და თავგამოდებით ააგო კიდეც ერთი რაძ დიდი, მშვენიერი, ფასდაუდებელი ძეგლი—განათლების ტაძარი—ქართული გიმნაზია.

უკანასკნელ ამოფშვენამდე შესტრფოდა ნიკო ამ დიდებულს ტაძრის დამთავრების აზრს და მხოლოდ იმისთვის შესთხოვდა მეუფეს რამდენიმე ხნით სიცოცხლის გაგრძელებას, რომ ღირსეულად შეემკო, დეეგვირგვინებინა ეს ძვირფასი საუნჯე ქართველის ერისა და მხოლოთ თვალი ნაშინ დეეხუჭა სამუდამოთ.

მაგრამ ულმობელმა ბუნებამ არ უაჯა ეს ღაღადი და 30 ოქტომბერს 1911 წელს ბეცრის სიკეთის მსურველი, ბევრის სიკეთის ჩამდენი ნიკოლოოზ ზებედეს ძე ცხვედაძემ სული განუტევა.

ქართველმა საზოგადოებამ მეფურის დიდებით დაასაფლავა ეს უბრალო სოფლის მღვდლის შვილი.

ეკ. გაბაშვილისა.

თავის მოვლა.



ე მინახავს თხუთმეტის წლის ახალგაზრდები, რომლებიც დიდების წამხედურობით თავს შეიყრიან სადმე სამიკიტნოში და თვრებიან. ყოველ ახალგაზრდას ამშვენებს და ამაღლებს სხვისი მიბაძვა სასახელო—კეთილშობილ საქმეში; სიგლახესა და სისაძაგლეში წაბაძვა ყოველ ახალგაზრდას ამცირებს და არცხვენს.

საუკეთესო სასმელი ბუნებამ დაგვიწესა,—ეს არის წყალი. ვინც სადილზე წყალს ვერა სვამს, შეუძლია იხმაროს ცოტაოდენი ლუდი, ან ღვინო-ნარევი წყალი.

ვინც ცარიელ პურს ვერა სჭამს, ბაკი (ღია) ჩაი შეუძლია იხმაროს, თუმცა სასარგებლო არც ეს არის. მაგარი ჩაი და ყავა მავნებელია სხეულისათვის. რადგანაც ასნეულებს ძარღვებს, ნერვებს და გულს. ვისაც იმდენი შეუძლია, რომ დილა საღამოს რძე სვას ან პურს ყველი შეატანოს, ჩაის სრულებით უნდა დაანებოს თავი.

შემხვედრია ხოლმე ქუჩაში თორმეტი წლის ბავშვი; პაპიროზი გაუჩრია პირში და აბოლებს, რაც შეუძლია! თან ისეთი სიამაყე და თავმომწონეობა ეტყობა, თითქოს დიდ გმირობას და ავთანდილობას სჩადიოდეს. მახსოვს, სასწავლებლის ფეხის ალაგში როგორის მედიდურობითა და ამპარტავნობით ეწეოდენ პაპიროზს,—თორმეტ-ცამეტის წლის მოსწავლენი. ახლაც იგივეა, რასაკვირველია. რა გმირობაა პაპიროზის მოწევა? განა ეს ყოველ სულელს არ შეუძლია? თუმცა თუთუნს ბევრი ჭკვიანი კაცი ეწევა, მაგრამ მე კერძოთ ღრმათ დარწმუნებული ვარ, რომ თუთუნის ბოლება, მისი კვამლის ყლაპვა და ცხვირიდან გამოშვება რაღაც უაზრო და მაშასადამე სულელური მოქმედებაა,—საქმის კაცს, ჭკვიან ადამიანს ეს არ შეეფერება, არც შეშვენის.

— ჩვენი მასწავლებელი რომა სწევს? მეტყვი შენ.

გამოტეხილი უნდა გითხრა: ძალიან ცუდათ იქცევა. შენც

კარგ საქმეში მიჰბაძე მას, რაღა მაინცა და მაინც ცუდ საქმეში ჰბაძავ?

იქნება სასიამოვნოა პაპიროსის მოწევა? საცდელათ ბევრჯერ მომიწევია; სიამოვნება არავითარი არ მიგრძვნია, პირიკი გამმწარებია.

დედამიწის ზურგზე არ მოიპოვება არც ერთი ადამიანი, რომელსაც თამბაქოს პირველათ მოწევით სიამოვნება გამოეცადოს. პირიქით პირველათ მოწევა თუთუნისა ბევრნაირ უსიამოვნებას იწვევს: პურჭყებას, გულის რევას, თავბრუს, თვალბჟყვიალას, გულის წუხილს. უნდა ძალა დაატანოთ თავს, რომ მიეჩვიოთ. ეს ასეც უნდა იყოს, რადგანაც თუთუნი შხამია და ადამიანსა სწამლავს.

მე ბევრისათვის მიკითხავს, რასა გრძნობ, როცა თუთუნი მოგინდება მეთქი. ზოგს უთქვამს: პირში რაღაც მაკლიაო: ზოგს: ღრძილები ამექავებაო, კბილებში რაღაც მაწუხებსო და სხვა. ერთის სიტყვით არავინ არ იცის, რატომ სწევს და ~~და~~ საერთოთ ყველა ეჩვევა წამხედურობით, მიბაძვით. მეცნიერებამ გამოარკვია, რომ თუთუნში არის ერთგვარი შხამი, რომელსაც მათ სახელათ ნიკოტინი უწოდეს. თუთუნის წევის დროს ნიკოტინის ნაწილი სხეულში რჩება და ნელ-ნელა სწამლავს მთელ აგებულებას. ის ასნეულებს ძარღვებს, ნერვებს, გულს, კუჭს, ყელს, სასუნთქ მილებს; უკარგავს ადამიანს ხალისს, გულის ყურსა და მეხსიერებას. ერთმა მასწავლებელმა შეჰკრიბა ცნობები მოსწავლეთა შორის და აი რა აღმოჩნდა: ის მოსწავლენი, რომლებიც თუთუნს ეწეოდენ, სწავლითა და ყოფა ქცევით გაცილებით დაბლა იდგენ იმ ამხანაგებზე, რომლებიც თუთუნს არ ეწეოდენ.

ამიტომ ვინც ჯანმრთელობასა და სწავლა-განათლებას აფასებთ, უარ-ჰყავით თუთუნი და მაგარი სასმელები.

ვისაც ჯანმრთელობა და სწავლა ფეხებზე გკიდიათ, აბოლეთ თუთუნი და ილოთეთ.

ბევრი ხმარობს საჭმელში მდოგვს, პილპილს, წიწაკას, კვაწარახს, ძმარს, მჟავეულს. რა მნიშვნელობა აქვს ყოველივე ამას? ესენი ადამიანს მადას უღვიძებენ. მადის გაღვიძებაში არ საჭიროებს ის, ვისაც კარგი მადა აქვს. თუ კარგი მადის

იხმარა, უსათუოთ კუჭს დაისნეულებს. ამიტომ ყოველივე ეს ხანდახან და ზომიერათ საჭმელში კარგია, მუდამ მათი ხმარება კი არ არის სასარგებლო.

რა დროს არის ჭამა კარგი? როცა გშია, რადგანაც ადამიანი ჭამისათვის არ არის დაბადებული, არამედ საქმისა და მოქმედებისათვის, უდროო დროს რომ ჭამა მოგვინდეს, კარგი არ არის. ამიტომ ყოველმა ადამიანმა თავისი თავი უნდა მიაჩვიოს განსაზღვრულ დროს ჭამას.

მე საუკეთესოთ მიმაჩნია შემდეგი წესი: დაწექით ღამის ათ საათზე, ადექით დილით ექვს საათზე, საუზმე სჭამეთ დილის შვიდ საათზე, სადილი შუა დღეზე, ვახშამი შვიდ საათზე საღამოთი.

უნდა სჭამოთ იმდენი, რამდენიც გინდათ. როცა გაძღომას იგრძნობთ, ერთი ლუკმა აღარ უნდა ჩაუშვათ კუჭში, რამდენია, რომ ძალას ატანს თავს და გაძღომის შემდეგ მაინცა სჭამს,—აქაოდა საჭმელი გემრიელია ან ხვალ ვეღარ ვიშოვნიო. ღორმუცელობა ასნეულებს კუჭს, ღვიძლს, ნაწლევებს, ძარღვებს, გულს: გარდა ამისა არც შეშვენის ადამიანის ღირსებას.

ბევრს უკითხავს ჩემთვის: როდის შეიძლება წყლის დალევა, სადილზე თუ შემდეგო. როცა გინდათ მაშინ უნდა დალიოთ. ზედმეტი წყალი სასარგებლო არ არის,—ის კუჭსა და თირკმელებს ჰლალავს. ამიტომ მავნებელია—განსაკუთრებით სიცხეში მლაშე საჭმელი, რადგანაც წყურვილის გამოწვევა იცის.

მწვანილი და ხილი სასარგებლოა აგებულებისათვის: მხოლოდ საჭიროა, შემდეგი გახსოვდეთ: მკვახე ხილი, ან დამპალი არ უნდა სჭამოთ; უზმოზე ხილი არ უნდა სჭამოთ გარდა ყურძენისა პურით; ხილიცა და მწვანილიც კარგათ უნდა გაავლოთ წყალში და ისე სჭამოთ; მუცელში გახსნილობის ან მუცლის ტკივილის დროს ხილი და მწვანილი არ უნდა იხმაროთ.

ივ. გომბრთელი.

(შემდეგი იქნება)

მიიღება ხელის მოწერა 1911 წლისათვის.

„სახალხო გაზეთი“

ყოველდღიური საზოგადოებრივ და სალიტერატურო გაზეთი

მომავალ 1911 წელს გაზეთი გამოვა იმავე პროგრამით, როგორც წარსულს წელს გამოდიოდა.

ყოველ დღიურ გამოცემას გარდა გაზეთს ექნება

სურათებიანი დამატება.

დამატება გამოვა კვირაობით.

გაზეთის ფასი დამატებიანათ: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 მან.

ცალკე ნომერი ეღირებინ ერთი შაური. დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება „სახალხო გაზეთის“ კანტორაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ი. ავალიშვილთან.

რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Редакція „Сахалхо газети“.

ПОДПИСКА НА 1911 ГОДЪ.

на политическую, общественную и литературную ежедневную газету

„Закавказье“

(Годъ VI-й).

ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

Съ доставкой въ Тифлисѣ:		Съ пересылкой въ другіе города:	
На годъ . . .	6 р. — к.	На годъ	8 р. — к.
На полгода . .	3 р. 50 к.	На полгода . . .	4 р. 50 к.

Помѣсячно повсюду 75 коп. Заграницу—вдвое.

За перемѣну адреса городского на иногородній—1 руб., съ иногородняго на городской—50 коп.

Объявленія внѣ предѣловъ Кавказа принимаются исключительно въ центральной конторѣ торговаго дома. Л. и Э. Метцль и К. въ Москвѣ, Мясницкая, д. Сытова, и въ отдѣленіяхъ: въ С.-Петербургѣ, Большая Морская, № 11, и въ Варшавѣ, Маршалковская, № 130, по 24 к. передъ текстомъ и 12 к. послѣ текста.

Редакція и контора помѣщается въ Тифлисѣ, на Дворцовой ул., въ домѣ грузинскаго дворянства.

Телефонъ редакціи 917. Телефонъ редактора 1035.

Редакторъ М. В. Мачабели. Издатель Д. П. Мадчаваріани.

ჯეჯილი

სკოლამდელი ნაატები ანი ჟურნალი.

ოცდა მეორე წელიწადი.

მიიღება კვლავაც ხელის მოწერა 1911 წლისათვის

გამოვა თვეში ერთხელ, ჟურნალში ორი განყოფილება, ბავშვებისათვის და მოზრდილთათვის.

ჟურნალი «ჯეჯილი» თბილისში ეღირება **4** მან., ქალაქ გარეთ (გაგზავნით) **5** მან. ნახევარი წლით **3** მან., ცალკე ნომერი **40** კაპ. ქალაქ გარეთ მცხოვრებლებს შეუძლიანთ მიმართონ:

თელავში—კნ. ნ. ჩოლაყაშვილს,

სიღნაღში—კნ. ნ. ანდრონიკაშვილს.

ჭიათურაში—ნიკო წუწუნავას.

ბათუმში—მიხეილ კალანდაძეს.

ფოსტის ადრესი: Въ тифлисъ въ Ред. Грузынскаго дѣтскаго журнала „Джеджили"

რედ.—გამომცემელი ან. თუმანიშვილი წერეთლისა.

Открыта подписка на 1911 годъ

НА ГАЗЕТУ

„Закавказская Рѣчь"

Подписная цѣна

Съ доставкой на домъ:	Въ Тифлисѣ.	Въ провинціи.
На годъ	6 руб. — коп.	8 руб — коп.
„ полгода	3 руб. 50 коп.	4 руб 50 коп.
„ 3 мѣсяца	2 руб. — коп.	2 руб. 25 коп.
„ 1 мѣсяцъ	— 75 коп.	— 75 коп.

АДРЕСЪ: Тифлисъ, реоакція газ. „Закавказская Рѣчь", Эриванская площадь, домъ Харазовой.

Для телеграммъ: Тифлисъ, „Закавказская Рѣчь".

Редакторъ **Р. Д. Бебіевъ.**

Издатели: П. А. Готуа. Кн. Г. І. Амираджиби.